სიბჯე

№04(208)
აპრილი
2013

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

გილოცავთ ფეფლის ბრწყინვალე აღდგომას!

31 მარტი 2013

13 მარტი 2013
პაპი ფრანცისკე



აღდგომა – 2013

„რა მშვენიერია, დღეს ახლებურად ვსუნთქავთ, იმედიანად, – აი, რა ძალა აქვს აღდგომის რწმენას! პაპი ფრანცისკე კი ამ სიახლის დამადასტურებელი სიურპრიზია“.

მომეწონა ერთი ახალგაზრდის ეს რეაქცია, რომელიც ამ სიტყვებით გამოხატა ფეისბუკის გვერდზე, პაპის არჩევის შემდეგ.

ძვირფასო ძმებო და დებო,

თქვენსავით მეც გაკვირვებული დავრჩი, მეც გამაოცა სიახლემ! ბუენოს-აირესის კარდინალი, მონსინიორ ბერგოლიო ახალი პაპია, მიუხედავად იმისა, რომ მედია მრავალი სხვა პიროვნების სასარგებლოდ აკეთებდა პროგნოზს: ჩვენ კიდევ ერთხელ ვიხილეთ სულიწმიდის თავისუფლება, რომლითაც ის თავის ეკლესიას ემსახურება და ცხოველჰყოფს. ახალი პაპი ყველასთვის სწორედ სიახლისა და თავისუფლების ნიშნად იქცა. კიდევ ერთი მკაფიო ნიშანია მის მიერ არჩეული სახელი ფრანცისკე, რომელიც მანამდე არავის აურჩევია და რომელიც ასიზელ წმიდანს უკავშირდება: უბრალოების, სიღარიბისა და ღარიბების მოყვარულ წმიდანს, წმიდანს, რომელმაც თავისი დროის ეკლესია განაახლა და მშვენიერი, ქრისტიანული სულიერება დაუბრუნა მას. სიახლის ნიშნებია აგრეთვე პაპის წარდგომა მრევლის წინაშე არა ოქროს, არამედ რკინის ჯვრით და პაპისთვის შესაფერისი უმარტივესი – თეთრი ფერის სამოსელით; თავის წარდგენა რომის ეპისკოპოსად, რაც უმთავრესად მისი სამწყსო ფუნქციის ხაზგასმაა.

ეკლესიაში მომხდარი ეს სიახლე გვიბიძგებს დაფიქრებისკენ, იმის გაგებისკენ, რომ ყოველი სიახლე აღდგომას მოაქვს, რადგანაც იესოს მკვდრეთით აღდგომა უდიდესი სიახლე იყო.

აღდგომა ნიშნავს სიცოცხლეს, იმედს, ნიშნავს, რომ სიკვდილი და ცოდვა დამარცხდა. აღდგომა ნიშნავს, რომ ადამიანის გულის სიღრმეში მოკიაფე სურვილი, – და ეს მუდამ სიცოცხლის სურვილია, – გაიმარჯვებს და, იესოს სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის წყალობით, ჩვენს სიკვდილზეც იზეიმებს გამარჯვებას.

ძვირფასო ძმებო და დებო, მაშ, ნუ შეგეშინდებათ და მოიქეცით პეტრეს და იოანეს მსგავსად: სწრაფად გაეშურეთ აკლდამისკენ, სადაც სამუდამოდ უპირებდნენ დასამარებას სიცოცხლის უფალს, სინამდვილეში კი მან სიკვდილი დათრგუნა და მკვდრეთით აღდგა!

დიახ, რადგანაც დღესაც არსებობს უამრავი აკლდამა, რომლებსაც აგებენ იესოს და იმედის სამუდამოდ დასასამარებლად: ეს არის ფულის ძალაუფლება, სიამოვნების სიშმაგე, სიცრუისა და სიყალბის გზა, მეცნიერების ხიბლი, იარაღის ძალა, პესიმისტური აზროვნება. ეს ძლიერი ძალებია და, შესაძლოა, დაუძლეველადაც გვეჩვენოს, თუმცა ისინი ვერაფერს გააწყობენ სიცოცხლის, სიყვარულისა და მშვიდობის უფლის წინააღმდეგ, რამეთუ ის თავდაყირა აყენებს ყოველ მიწიერ რეალობას და ახალ, გასაოცარ საქმეებს აღასრულებს.

არ უნდა შეგვეშინდეს, როგორც მორწმუნეებს, ამ უარყოფით გზავნილებთან, ვითარებებთან და გარემოსთან შებრძოლება, რადგანაც მათში არ არის სიცოცხლე, იქ სიკვდილია; იქ არ არის მკვდრეთით აღდგომის იმედი, იქ მხოლოდ სასოწარკვეთა, გულგრილობა, მობეზრებაა და არა სიცოცხლის არსი.

იესო სხვაგან ბინადრობს, ის ხვდება ადამიანს იქ, სადაც არის ჭეშმარიტი სიცოცხლე და ნამდვილი, მშვენიერი, წმინდა, მიმზიდველი და, ამავე დროს, რთული სიყვარული; იქ, სადაც არიან სამართლიანობისთვის მებრძოლნი, რომლებიც უარს ამბობენ მატერიალურ სიკეთეებზე უმაღლესი სიკეთის – ღმერთის, სასარგებლოდ, არიან გულმოწყალენი და ლმობიერნი, ძალუძთ მიტევება და ბოროტების სიკეთით დამარცხება, მშვიდობისთვის იღვწიან და ამგვარად ცვლიან საკუთარ და სხვების ცხოვრებას.

აკლდამა აქ არის, მაგრამ ის ცარიელია!

არ ვიცი, რა გზავნილებს მივიღებთ ახალი პაპისგან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათი სათავე კვლავაც სააღდგომო საიდუმლო იქნება. ეს არის საიდუმლო, რომელიც არ ივიწყებს ჯვარს, მაგრამ გვაუწყებს, რომ ღმერთის ძალა, – სიყვარულისა და გულმოწყალების ძალა, – საბოლოოდ გამარჯვების მომტანია. იესოს მსგავსად, მასაც დაემუქრება აკლდამაში მოთავსების საფრთხე, საფრთხე იმისა, რომ ვიღაცას მისი გაჩუმება მოუნდება, როცა მისი სიტყვები არასასურველად იქცევა... მაგრამ ამას ჩვენ არ გავაკეთებთ! ჩვენ აღდგომის დღესასწაულის შვილები ვართ!

ბედნიერ აღდგომას გისურვებთ, და ჩემი მილოცვა მინდა პაპი ფრანცისკეს სიტყვებით გადმოგცეთ: „არასდროს დავემონოთ პესიმიზს, რომელსაც ეშმაკი ყოველდღიურად გვთავაზობს!“.

ქრისტე აღდგა: ჭეშმარიტად აღდგა!

ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრატორი
ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტტო

13 მარტი – 31 მარტი!

კარდინალ-პროტოდიაკონის მიერ საზეიმოდ გაცხადებული ფორმულისთვის – Nuntio vobis gaudium magnum – საკმარისი იყო ერთი სახელისა და უბრალო სიტყვების დამატება, რომ რომისა და მთელი მსოფლიოს წინაშე წარედგინათ პეტრეს ახალი მემკვიდრე, რომელმაც ქარს გაატანა ურიცხვი და სრულიად უსაფუძვლო პროგნოზით დატვირთული კვირა. კათოლიკე ეკლესიამ კიდევ ერთხელ, შესაშური საარჩევნო კოლეგიის მეშვეობით, აჩვენა ყველას, რომ შესწევს ისეთი არჩევანის გაკეთების უნარი, რომელიც ისტორიაში თავისი გაბედული სიახლით დაიმკვიდრებს ადგილს. ცამეტი საუკუნის შემდეგ (ანუ გრეგორი III-სა და სირიიდან წამოსული მისი მემკვიდრეების დროიდან), რომში პირველად იქნა არჩეული არაევროპელი ეპისკოპოსი, პირველი პაპი ამერიკის კონტინენტიდან და ეგნატე ლოიოლას მიერ თანამედროვე ეპოქის გარიჟრაჟზე დაარსებული რელიგიური ორდენიდან: კარდინალი ხორხე მარიო ბერგოლიო, ბუენოს-აირესის მთავარეპისკოპოსი. მას მერე, რაც თანხმობა განაცხადა კონკლავის არჩევანზე, მან სურვილი გამოთქვა, რომ სახელად აერჩია – ფრანცისკე – პაპობის ისტორიაში სრულიად ახალი სახელი; ეს სახელი ცნობილი გახდა ასიზის წმიდანის წყალობით, ვის სახეშიც მისი თანამედროვენი „ქრისტეს სწორს“ (alter Christus) ხედავდნენ. ეს სახელი სიმბოლურად ასახავს იმ იმედსა და სურვილებს, რითაც გაჯერებულია როგორც მორწმუნის, ასევე არამორწმუნის მოლოდინები. ყოველივე ამის ნათელი მაგალითი იყო წვიმიან ამინდში, წმიდა პეტრეს მოედანზე შეკრებილი ხალხის მოლოდინი, მოგვიანებით კი მას-მედიიდან წამოსული კომენტარები და ეპითეტები.

იოანე პავლე II გახლდათ პირველი პაპი, რომელმაც იმპროვიზებულად დაამატა რამდენიმე სიტყვა კარდინალ-პროტოდიაკონის მიერ გაკეთებულ ტრადიციულ საარჩევნო მისალმებაზე. პაპი ფრანცისკე

კი გახლდათ პირველი, რომელმაც ახლებურად, თავისებურად ილოცა: ბენედიქტე XVI-თვის „საუფლო ლოცვა“, „გიხაროდენ მარიამ“ და „დიდება“, ხოლო სრულიად ამაღელვებელი და ახალი იყო, როცა მან ხალხს მიმართა თხოვნით, რომ სიჩუმეში გამოეთხოვათ ღვთისგან კურთხევა თავიანთი ეპისკოპოსისათვის. ასე გამეფდა ხალხში უჩვეულო სიჩუმე, ვიდრე საზეიმო კურთხევა გაიცემოდა, და ეს იყო ერთადერთი ექო, რომელიც ეკლესიის გზაზე მიანიშნებდა, ეკლესიისა, „რომელიც სიყვარულში მართავს“ ყველა დანარჩენს, – როგორც იტყოდა ანტიოქიის ეპისკოპოსი წმიდა ეგნატე.

ისევ ანტიოქიაში, მღვდელმსახური იოანე, ოქროპირად წოდებული, როდესაც 388 წლის აღდგომის პერიოდში, ქადაგებებში საუბრობს მოციქულთა საქმეებზე, მხურვალე გულით მოიხსენიებს პეტრე მოციქულს, როგორც ნიმუშს სიყვარულისა და რწმენისა, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ანტიოქიის ეკლესიასთან, როგორც მის პირველ მწყემსს: „როდესაც პეტრეს ვიხსენებ, ჩემს გონებაში კიდევ „სხვა პეტრე“ ჩნდება, ჩვენი საერთო მამა და მასწავლებელი, რომელიც თავის კათედრაში მსახურობს. ეს საპატიო უფლებაა ჩვენი ქალაქისთვის, რომელმაც დასაბამიდან მიიღო იგი მასწავლებლად. სამართლიანი იქნებოდა, რომ ქალაქს, რომელსაც პირველად უწოდეს სახელი – „ქრისტიანული“, მწყემსად მიეღო მოციქულთაგან პირველი“.

მქადაგებლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ანტიოქია პეტრეს პირველი საყდარია, ერთ-ერთი პირველი ქალაქი, რომელსაც „ქრისტიანული ეწოდა“. იოანე იქვე საუბრობს პეტრეს მეორე საყდარზე, ანუ რომზე: „მართალია, იგი მასწავლებლად მივიღეთ, მაგრამ სამუდამოდ არ დაგვისაკუთრებია, იგი რომის სამეფო ქალაქს დავუთმეთ... თუნდაც პეტრეს სხეული არ გვქონდეს, პეტრესთან ერთად ვიცავთ მის რწმენას: პეტრეს რწმენის მიღებით, „იგივე პეტრე“ შევიძინეთ“. იოანე, რომელიც ეპისკოპოს ფლავიანეს წინაშე ქადაგებს, სიამაყითა და სიყვარულით დასძენს: „როდესაც მის მემკვიდრეს ვხედავთ, გვეჩვენება, რომ თავად პეტრეს ვხედავთ. ვლოცულობთ, რათა „ამ პეტრემ“ ხანდაზმულობამდე მიაღწიოს, იგი მუდამ გამოადგება ჩვენს სიჭაბუკეს მისი ლოცვების წყალობით“.

13 მარტს პეტრეს ახალი მემკვიდრე აირჩიეს რომის ტახტზე; 31 მარტს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული აღინიშნება: ციფრების ეს თამაში ამ ორი დიდი მოვლენის ერთმანეთთან კავშირზე მეტყველებს, – დაე, გამოჩნდეს ჭეშმარიტად ძმობის, სიყვარულისა და იმედის გზა ყველა ქრისტიანისა და კეთილი ნების ყოველი ადამიანის წინაშე!



.პეტრეს – მოციქულთაგან პირველის – მემკვიდრის პირველი სიტყვები იყო ის პასუხი, რაც ყოველად აუცილებელი გახლდათ კონკლავის არჩევანის მისაღებად. აი, განმარტება „დიდი სიხარულისა“ (gaudium magnum), რომელიც რვაასიანი წლების ბოლოს დამკვიდრდა დასავლურ ტრადიციაში, და რომელიც იმეორებს ბეთლემში მწყემსთათვის გაცხადებულ ანგელოზის სიტყვებს, სახარებისეული სასოების სიტყვებით ჰფენს ნათელს პაპების მემკვიდრეობის ისტორიულ თანმიმდევრობას. უძველეს ქრისტიანულ ტექსტში, იოანეს სახარების დასაწყისში პეტრეს ისტორია იესოსთან პირველი შეხვედრით იწყება და იგივე სახარება მოციქულთაგან პირველის უკიდურესი მოწმეობის ჩვენებით სრულდება. ბეთსაიდელი მებადური არაფერს ამბობს იესოზე, რომელიც, ჩანს, რომ იცნობს მას (შენ ხარ სიმონი, ძე იოანესი; გიწოდებ კეფას, რაც ნიშნავს პეტრეს); თუმცა, უკანასკნელი მძაფრი საუბრისას, იგი სამგზის პასუხობს იესოს: „უფალო, შენ იცი ყველაფერი, იცი, რომ მიყვარხარ“, და ამით თავის სამმაგ უარყოფას გარკვეულწილად აწონასწორებს.

პეტრეს პასუხში: „ჩვენ გვწამს, რომ უფალ იესოს წყალობით დავიხსენით,“ – შეგვიძლია მისი მემკვიდრეების ხვედრის განჭვრეტა, მათი, რომლებიც არიან ადამიანთა რჩეულნი და თავად მოციქულის მიერ ე.წ. იერუსალიმის კრებაზე აღწერილი გულმოწყალებით შეწევნილნი. არჩევნების შედეგის მიღებით, სწორედ პეტრეს ეს პასუხი გაიმეორა ახალმა პაპმა.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

წმიდა მამა ფრანცისკე

წმიდა მამა ფრანცისკეს პირველი urbi et orbi

ძმებო და დებო, საღამო მშვიდობისა!

თქვენ იცით, რომ კონკლავს რომის ეპისკოპოსი უნდა აერჩია. იპოვეს კიდეც – ქვეყნიერების დასალიერში. და აი, ყველანი აქ ვართ. მადლობას მოგახსენებთ მისალმებისთვის. უპირველეს ყოვლისა, მინდა ერთად ვილოცოთ რომის საპატიო ეპისკოპოსისთვის, ბენედიქტე XVI-სთვის; აკურთხოს იგი უფალმა და ფარავდეს ღმრთისმშობელი ქალწული.

გრძელდება ჩვენი მოგზაურობა – ეპისკოპოსისა და მრევლისა, რომის ეკლესიისა, რომელიც არის წინამძღვარი სიყვარულში. ეს არის გზა სიყვარულისა, ძმობისა და ურთიერთნდობისა. ყოველთვის ვილოცოთ ერთურთისთვის; ვილოცოთ მთელი მსოფლიოსთვის, რათა საყოველთაოდ დამკვიდრდეს ძმობა და სიყვარული.

თხოვნა მაქვს თქვენთან: სანამ ეპისკოპოსი დალოცავს მრევლს, გთხოვთ, ევედრეთ ჩემთვის უფალს, რათა მაკურთხოს, მდუმარედ ილოცეთ ჩემთვის.

ახლა კი დაგლოცავთ თქვენ და მთელ მსოფლიოს, ყველა კაცსა და ქალს, კეთილი ნების ყველა ადამიანს.

ძმებო და დებო! ახლა დაგემშვიდობებით. მალე შევხვდებით ერთმანეთს, თქვენ კი ილოცეთ ჩემთვის. ღამე ნებისა.

Habemus Papam

13 მარტის საღამოს, მას შემდეგ, რაც სიქსტეს კაპელის საკვამურიდან თეთრი კვამლი ამოვიდა, კარდინალ-პროტოდიაკვანმა ჟან-ლუი ტორანმა მსოფლიოს ახალი პაპის ვინაობა ამცნო.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობა

ხორხე მარიო ბერგოლიო 1936 წელს, ბუენოს-აირესში, იტალიელი იმიგრანტების ოჯახში დაიბადა. 1958 წელს, ვილა დევოტოს სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ, იეზუიტთა ორდენში შევიდა. ნოვიციატი სანტიაგოში, ჩილეში გაიარა, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებებს სწავლობდა; სწავლა ბუენოს-აირესში, წმიდა იოსების კოლეჯში გააგრძელა. 1969 წელს მიიღო მღვდლის ხარისხი; 1973 წელს დაინიშნა არგენტინის პროვინციალად („იესოს საზოგადოების“ ლოკალური წინამძღვარი); 1980-86 წლებში იყო სან-მიგელის სემინარიის რექტორი. 1986 წელს ფრანკფურტის წმიდა გიორგის თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტში დოქტორის ხარისხი მიიღო, რის შემდეგაც არგენტინაში დაბრუნდა და კორდობაში დაიწყო მსახურება. 1992 წელს აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში, 1998 წელს კი ბუენოს-აირესის მთავარეპისკოპოსი გახდა. იმავე წელს დაინიშნა არგენტინის ბერძნული წესის კათოლიკეთა ორდინარიუსად. 2001 წლის 21 თებერვლის კონსისტორიაზე იოანე პავლე II-სგან კარდინალის წოდება მიიღო.



ხორხე ბერგოლიოს უახლოესი ნათესავები

ოთხი და-ძმიდან მხოლოდ ერთი და, ელენა მარია ბერგოლიო დარჩა. ბუენოს-აირესიდან 40 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ მორენოში ცხოვრობს. „კარგი ოჯახი გვქონდა. აქ ვისწავლეთ, რა არის პატიოსნება, გულგახსნილობა, სიყვარული. სიცილიც აქ გვასწავლეს“.

პირველი იეზუიტი პაპი

„თავის მსახურებაში იეზუიტები განსაკუთრებული თავდადებით გამოირჩევიან, უფლისგან ბოძებულ ნიჭს იქ იყენებენ, სადაც ეს ყველაზე აუცილებელია, თუმცა ერიდებიან საძალაუფლებო პოზიციებს. ეს არჩევანი არის მოწოდება მსახურებისკენ და არა ძალაუფლების გადაცემა. ჩვენ გვყავს პაპი, რომელსაც მსახურება სურს“, – აღნიშნა 13 მარტს თავის საგანგებო განცხადებაში წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის მდივანმა ფედერიკო ლომბარდიმ. კათოლიკე ეკლესიის კანონიკური სამართლის თანახმად, ეპისკოპოსის ხარისხი შეიძლება მიენიჭოს ყველა ორდენის წევრს. ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ ბერ-მონაზონი თავისი ორდენის წევრად რჩება, მაგრამ მორჩილების აღთქმით რომის პაპს ემორჩილება.

პირველი პაპი ამერიკის კონტინენტიდან

„ეკლესია მზად არის არაევროპელი პაპისთვის“, – განაცხადა კონკლავის დაწყებამდე განელმა კარდინალმა პიტერ ტარკსონმა. მორწმუნეთა რეაქცია ამ სიტყვების დასტურია. „მოხარული ვარ, რომ ავირჩიეთ პაპი ლათინური ამერიკიდან. გვქონდა კიდეც მოლოდინი, რომ იგი იქნებოდა კონტინენტიდან, სადაც ყველაზე მეტი კათოლიკე ცხოვრობს“, – აღნიშნა 13 მარტის საღამოს ფედერიკო ლომბარდიმ.

რატომ დაირქვა პაპმა ფრანცისკე

ეს თავად განმარტა 16 მარტს, პავლე VI-ის დარბაზში, მას-მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას: „ზოგმა არ იცის, რატომ დაირქვა რომის ეპისკოპოსმა ფრანცისკე – ფრანცისკე ხავიერის, ფრანცისკე სალელის თუ ფრანცისკე ასიზელის გამო. ერთ ამბავს გიამბობთ: არჩევნებისას ჩემს გვერდით სან-პაულუს საპატიო მთავარეპისკოპოსი, სამღვდელოთა კონგრეგაციის პრეფექტი, კარდინალი კლაუდიუ ჰუმესი იჯდა, – ჩემი დიდი, დიდი მეგობარი. როდესაც ხმათა რაოდენობამ ორ მესამედს მიაღწია, აპლოდისმენტები გაისმა, რადგან პაპი არჩეულ იქნა. იგი გადამეხვია, მაკოცა და ჩამჩურჩულა: „ღარიბები არ დაგავიწყდეს“. ღარიბები – ეს სიტყვა ტვინში ჩამებეჭდა და ფრნცისკე ასიზელი გამახსენა. ეს სახელი ჩემს გულამდე მივიდა. ჩემთვის იგი არის სიღატაკის კაცი, მშვიდობის კაცი; კაცი, რომელსაც უყვარს და იცავს ქმნილებას. ეს არის კაცი, რომელიც გვაძლევს მშვიდობის სულს, ღატაკი კაცი. როგორ მსურს, ეკლესია ღატაკი იყოს და ღატაკთათვის“.

ბერგოლიო „ბინძური ომის“ წლებში

2005 წელს არგენტინელმა ჟურნალისტმა ორაციო ვერბიცკიმ გამოაქვეყნა წიგნი „El Silencio“ (დუმილი), რომელშიც 1976-83 წლების სამხედრო დიქტატურის პერიოდის მოვლენებს აღწერს. სხვა სახელებს შორის იგი ხორხე ბერგოლიოსაც (იმხანად მღვდელს) იხსენიებს და რეჟიმთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს. ვერბიცკი წერს, რომ ბერგოლიო არ გამოესარჩლა ორ იეზუიტ მღვდელს, რომლებიც ხუნტამ დააპატიმრა. თავის წიგნში „იეზუიტი“, რომელიც ბერგოლიოს მოღვაწეობას აღწერს, სერხიო რუბინს კარდინალის სიტყვები მოყავს: „ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემეძლო. იმხანად არც საკმაო გამოცდილება მქონდა, არც კონტაქტები“. გამოცდილებისა და კონტაქტების არქონის მიუხედავად, ბერგოლიოს ძალისხმევით მღვდლები ხუთი თვის შემდეგ გაათავისუფლეს. ბრალდებები არა მხოლოდ ბერგოლიოს, არამედ არგენტინის ეკლესიის წინააღმდეგ გაისმის. „დიქტატურა ვერ იარსებებდა ეკლესიის მდუმარე თანხმობის გარეშე“, – აცხადებს იურისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი მირიამ ბრეგმანი. „ცილისმწამებლური და დიფამაციური კამპანია კარდინალ ბერგოლიოს წინააღმდეგ კარგად არის ცნობილი და გუშინ როდი დაიწყო. აშკარად ცხადია, ამ კამპანიის ანტიკლერიკალური საფუძველი“, – განაცხადა 15 მარტის პრეს-კონფერენციაზე ფედერიკო ლომბარდიმ. ბრალდებებს ბერგოლიოს წინააღმდეგ გამოეხმაურა ცნობილი უფლებადამცველი, „ბინძური ომის“ მოვლენათა მკვლევარი გრასიელა ფერნანდეს მეიხიდე: „ათასობით საბუთი და მოწმობა შევისწავლე. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ბერგოლიოს რაიმე კავშირი ჰქონდა რეჟიმთან“. ხუნტასთან ბერგოლიოს კავშირის ყოველგვარ შესაძლებლობას უარყოფს ადოლფო პერეს ესკიველი, – არგენტინელი მწერალი და მოქანდაკე, ნობელის პრემიის ლაურეატი, ხუნტის ყოფილი პატიმარი. არსებობს არაერთი საბუთი და მოწმობა იმისა, რომ ბერგოლიო დახმარებას უწევდა დევნილებს. ეკლესია, რომელშიც იგი მსახურობდა, არაერთხელ გახდა დაპატიმრების საფრთხის ქვეშ მყოფთა თავშესაფარი. ინტენსიური კამპანია სამხედრო დიქტატურის დამნაშავეთა წინააღმდეგ 2005 წელს დაიწყო, როდესაც არგენტინის სასამართლომ გააუქმა კანონი ამნისტიის შესახებ, რომლითაც ქვეყნის ყოფილ მმართველებს ხელშეუხებლობის გარანტია ეძლეოდათ.

„პროგრესული ბერგოლიო“

„მე ისეთ პაპს ვისურვებდი, რომელიც უფრო ლიბერალური იქნებოდა სექსუალურ უმცირესობათა მიმართ“; „იმედია, მომდევნო პაპი უფრო მეტ ტაქტს გამოიჩენს

კონტრაცეპტივების საკითხში“; „კათოლიკე ვარ, მაგრამ რამდენიმე წლის წინ შევწყვიტე ეკლესიაში სიარული. ამის მიზეზი შეუწყნარებლობაა, რომელსაც ეკლესია ჰომოსექსუალებისადმი ავლენს. პროგრესული პაპი გვინდა, რომელიც ანგარიშს გაუწევს თანამედროვე რეალიებს“. მაშინ, როდესაც სიქსტეს კაპელის საკვამურიდან ჯერ კიდევ შავი კვამლი ამოდიოდა, სოციალურ ქსელებში არაერთი მსგავსი პოსტი გაჩნდა. მოლოდინები არ გამართლდა. 2010 წლის ივლისში არგენტის მონასტრებისადმი მიმართულ წერილში იგი წერს: „მოდით, მიამიტები ნუ ვიქნებით. ეს რიგითი პოლიტიკური ბატალიები კი არ არის, არამედ დესტრუქციული პრეტენზია, რომელიც ღმრთის განგებულებას ეწინააღმდეგება; ჩვენ ახლა უბრალოდ კანონპროექტზე კი არ ვსაუბრობთ, არამედ სიცრუის მამის ხრიკებზე, რომლებითაც იგი ღმრთის შვილებს აცდუნებს“. საუბარია ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინების კანონპროექტზე, რომელსაც იმ დროს არგენტინის პარლამენტი განიხილავდა. ერთმნიშვნელოვანია ბერგოლიოს პოზიცია კონტრაცეპციის, აბორტებისა და ევთანაზიის მიმართაც.

კარდინალ ბერგოლიოს ყოველდღიური ცხოვრება

პირველი, რაც გააკეთა ბუენოს-აირესის მთავარეპისკოპოსმა თავისი კურთხევის შემდეგ, უარი თქვა აპარტამენტებზე მთავარეპისკოპოსის სასახლეში, მანქანაზე, პირად მძღოლსა და მზარეულზე. ბუენოს-აირესის შემოგარენში, პატარა ბინაში სახლობდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობდა და საჭმელს თავად იმზადებდა.

აქვე ორიოდე სიტყვა ფრანცისკეს ჯანმრთელობაზე უნდა ითქვას. 1957 წელს გადატანილი პნევმონიის გამო, მას ერთი ფილტვი ამოკვეთეს. თუმცა ამას არასდროს შეუშლია ხელი მისი მსახურებისთვის. ამჟამად პაპი თავს ჩინებულად გრძნობს და სიმხნევის ნაკლებობას არ უჩივის.

პაპი ფრანცისკე პატარა ბინაში ვერ იცხოვრებს, ვერც მეტროთი ივლის, ვახშმის მოსამზადებლად კი უბრალოდ დრო არ დარჩება. თუმცა თავმდაბლობა და ასკეტური ცხოვრების სურვილის გამოვლენა მაინც შეძლო. მას არ სურს, პონტიფექსის ახალი შესამოსელი შეუკერონ და დარწმუნებულია, რომ სავსებით დასჯერდება იმას, რომლითაც მისი წინამორბედი იმოსებოდა.

გატაცებები

არგენტინის მკვიდრი, თუნდაც კარდინალი, ვერ დარჩებოდა გულგრილი ფეხბურთისადმი. არგენტინის კათოლიკური სააგენტოს ცნობით, ხორხე ბერგოლიო ბავშვობიდან „სან-ლორენსოს“ გულშემატკივრობს (2008 წელს გუნდის გულშემატკივართა კლუბში გაწევრიანდა), უყვარს არგენტინული ტანგო და ფილმები ტიტა მერელოს მონაწილეობით.

ბერგოლიო და „გათავისუფლების თეოლოგია“

ლათინოამერიკელი ღმრთისმსახური ამ მოძრაობას მსახურების დასაწყისშივე გაემიჯნა. ღარიბებზე ზრუნვისთვის მას „გათავისუფლების თეოლოგია“ არ სჭირდება. „მოდით, უარი ვთქვათ ფულის ძალაუფლებაზე, რომელიც ასე ჩვეულია არგენტინელებისთვის, რომელიც ანგრევს ოჯახებს და რყვნის საზოგადოებას“, – მოუწოდა მორწმუნეებს დიდმარხვის დასაწყისისადმი მიძღვნილ ქადაგებაში მთავარეპისკოპოსმა ბერგოლიომ.

უწმიდესი ფრანცისკეს პირველი ქადაგება

19 მარტს უწმიდესმა პაპმა ფრანცისკემ თავისი მოსაყდრეობის პირველი წირვა აღავლინა. წმიდა პეტრეს მოედანზე ორასი ათასი მორწმუნე შეიკრიბა. აღსაყდრების ზეიმს 180 ქვეყნისა და 33 ეკლესიის ოფიციალური დელეგაცია დაესწრო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1054 წლის შემდეგ ეს იყო პირველი აღსაყდრება რომის პაპისა, რომელსაც პირადად დაესწრო კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი. ინტრონიზაციას ასევე ესწრებოდნენ ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა მიტროპოლიტი გერასიმე.

„ძვირფასო დებო და ძმებო! უფლის მადლით, ჩემი მოსაყდრეობის წირვას წმიდა იოსებ დამწინდველის დღეს აღვავლენ. ნეტარმა იოანე პავლე II-მ მასზე თქვა: „იგი სიყვარულით ზრუნავდა მარიამზე და სიყვარულით უძღვნა თავი იესო ქრისტეს აღზრდას. იმავე სიყვარულით იცავს იგი მის მისტიურ სხეულს – ეკლესიას“. როგორ ახორციელებდა იოსები ზრუნვისა და დაცვის ამ მოწოდებას? ისე, რომ ყურადღებით ისმენდა ღმრთის ხმას, აკვირდებოდა მისგან მოცემულ ნიშნებს, მის ნებას ასრულებდა და არა თავისას. იოსებ დამწინდველი გვიჩვენებს, როგორ უნდა ვუპასუხოთ ღმრთის მოწოდებას: მზაობით. და ჩვენ ვიცით, რომ ქრისტიანული მოწოდების ცენტრი ქრისტეა. მოდით, დავიცვათ ქრისტე ჩვენს გულებში. მხოლოდ ასე შევძლებთ სხვათა დაცვას, მხოლოდ ასე შევძლებთ ზრუნვას ქმნილებისათვის.

ქმნილების დაცვის მოწოდება მხოლოდ ქრისტიანებს როდი ეხებათ. იგი ქრისტიანობაზე უწინდელია და მთელ კაცობრიობას ეკისრება. წმიდა ფრანცისკე ასიზელმა გვაჩვენა, როგორ ხორციელდება ეს მოწოდება: პატივი უნდა ვცეთ ღმრთის ყველა ქმნილებას, მთელ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ. თუკი ადამიანი უგულებელყოფს ამ პასუხისმგებლობას, თუკი არ ზრუნავს ქმნილებაზე, მისი გული ბოროტდება. სამწუხაროდ, ყველა ეპოქაში არიან ჰეროდეები, რომელთაც სიკვდილი და ნგრევა მოაქვთ. მინდა ვთხოვო დიდ პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს, კეთილი ნების ყველა ადამიანს: ვიყოთ ქმნილების მცველნი, ყური მივუგდოთ ღმრთის განგებულებას, რომელიც ჩაბეჭდა ბუნებაში, გარე სამყაროში. ნუ შეაფერხებს სიკვდილი და ნგრევა ჩვენს მშვიდობიან სვლას. სხვა რომ დავიცვათ, საკუთარ თავსაც უნდა გავუფრთხილდეთ. გვახსოვდეს, რომ სიძულვილი, შური და ამპარტავნება გულს აბინძურებს. გავუფრთხილდეთ ჩვენს გრძნობებს, ჩვენს გულებს, რადგან სწორედ გულში იბადება როგორც კეთილი სურვილები, ასევე ბოროტი ზრახვები.

კიდევ ერთი რამ უნდა გითხრათ: ზრუნვა და დაცვა გულკეთილობასა და სინაზეს მოითხოვს. სახარებებში წმიდა იოსები წარმოგვიდგება, როგორც ძლიერი, უშიშარი, შრომისმოყვარე ადამიანი. მაგრამ მის გულში დიდი სინაზეა, რომელიც არა სუსტთა, არამედ სულით ძლიერთა სიქველეა. ნუ შევუშინდებით სიყვარულსა და სინაზეს.

დღეს, წმიდა იოსებ დამწინდველის დღესთან ერთად, რომის ახალი ეპისკოპოსის, წმიდა პეტრეს მემკვიდრის მსახურების დაწყებასაც ვზეიმობთ. ეს მსახურება ძალაუფლებასაც გულისხმობს. ჩვენ ვიცით, რომ პეტრეს ეს ძალაუფლება იესომ მისცა. მაგრამ რა ძალაუფლებაზეა საუბარი? სამგზის ჰკითხა იესომ პეტრეს სიყვარულის შესახებ, და მხოლოდ ამის შემდეგ მიაბარა სამწყსო. ნუ დავივიწყებთ, რომ ჭეშმარიტი ძალაუფლება მსახურებაშია და პაპის ძალაუფლებაც მხოლოდ მსახურებით ხორციელდება. მან წმიდა იოსებს უნდა მიბაძოს – მორჩილსა და რწმენით აღსავსეს; იოსების მსგავსად უნდა იღვაწოს ღმრთის ერის დაცვისთვის, სიყვარულითა და სინაზით მიიღოს მთელი კაცთა მოდგმა, განსაკუთრებით კი ღატაკნი, ყველაზე მცირენი, ისინი, ვისზედაც წმიდა მათე მიუთითებს სიყვარულის სამსჯავროზე საუბრისას: მშიერნი, მწყურვალნი, დევნილნი, მგლოვიარენი. მხოლოდ მას შეუძლია ზრუნვა და დაცვა, ვინც სიყვარულით მსახურებს.

რომაელთა მიმართ ეპისტოლეში წმიდა პავლე ამბობს აბრაამზე: „უსასოობაში ერწმუნა სასოებით“ (რომ. 4,18). დღესაც გვჭირდება ნათელი და სასოება. დავიცვათ ღმრთის ქმნილება, დავიცვათ ადამიანი, სიყვარულითა და სინაზით სავსე მზერა მივაპყროთ მას. მხოლოდ ასე შემოაღწევს გულის უკუნში ნათელი და სასოების სითბო. ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის, ისევე როგორც აბრაამისთვის და წმიდა იოსებისთვის, სასოების ჰორიზონტი ღმერთია, რომელიც ქრისტეში გამოგვეცხადა.

იესოსა და მარიამის დაცვა, ზრუნვა ქმნილებისთვის, ყოველი ადამიანის დაცვა, განსაკუთრებით კი ღატაკთა, დაცვა საკუთარი თავისა – ეს არის მსახურება, რომელიც უნდა აღასრულოს რომის ეპისკოპოსმა. მაგრამ ამისთვის ყველანი ვართ მოწოდებულნი. მხოლოდ ასე აენთება სასოების ვარსკვლავი. სიყვარულით შევინარჩუნოთ ის, რაც უფლისგან მოგვეცა!

მეოხებას ვთხოვ ქალწულ მარიამს, წმიდა იოსებს, წმიდა პეტრესა და პავლეს, წმიდა ფრანცისკეს, რათა სული წმიდა წარმიძღვეს მსახურებაში. თქვენ კი გთხოვთ: ილოცეთ ჩემთვის.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

დონ დამიანე სააკაშვილი

კათოლიკე მისიონერებმა საქართველოში მოღვაწეობა მე-13 საუკუნის შუა ნლებიდან დაიწყეს. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ორდენების შემოსვლით და მათი ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად, საქართველოში დაარსდა კათოლიკური ეკლესია.

ძლიერი კათოლიკური კერა შეიქმნა ქუთაისში, ქალაქში კათოლიკეთა რიცხვი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც სოლომონ მეორემ ამ აღმსარებლობის მოქალაქეები ახალციხიდან ქუთაისში გადმოასახლა და მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე დაასახლა. მათ ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია დაიკავეს.

მას შემდეგ, რაც საქართველომ სახელმწიფო სუვერენიტეტი დაკარგა, კათოლიკური ეკლესიის უფლებებიც შეილახა. რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ 1844-1845 წლებში კათოლიკე მისიონერები დასავლეთ ევროპის აგენტებად გამოაცხადა და ქვეყნიდან გააძევა. ამ გარემოებამ ქართველი კათოლიკეები აიძულა, მეტად ეზრუნათ სასულიერო კადრების მომზადებისთვის. სწორედ ამ პერიოდში აღიზარდნენ ღირსეული პიროვნებები, რომლებმაც საკუთარი სიტყვა თქვეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე გახლდათ კათოლიკე მოძღვარი დონ დამიანე სააკაშვილი. იგი დაიბადა 1865 წლის 21 ივნისს ქ. ქუთაისში, ქართველი კათოლიკეების იაკობ სააკაშვილისა და მაგდალინა ლაჩინაშვილის ოჯახში. ისინი 1860-იანი წლების დამდეგს გორიდან ქუთაისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად.

ქუთაისის კათოლიკური დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ, დამიანემ სწავლა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გაგრძელა, რომელიც 1883 წელს დასრულა. როდესაც დამიანეს უახლოესმა ნათესავმა, იმხანად ეკლესიის წინამძღვარმა და რომის აკადემიის ღვთისმეტყველების კანდიდატმა, კავკასიის კათოლიკეთა ეკლესიის ვიზიტატორმა, დონ ივანე ანტონოვმა მას სწავლისადმი განსაკუთრებული სურვილი და მონდომება შეამჩნია, 18 წლის ყმაწვილი სასწავლებლად რომს გააგზავნა.

რომიდან დაბრუნების შემდეგ, დონ დამიანე სააკაშვილს სასულიერო სემინარიაში პროფესორობა შესთავაზეს, მაგრამ მას გული ყოველთვის მრევლის მსახურებისკენ მიუწევდა, ამიტომ დიდი სიხარულით ეკურთხა მღვდლად და ეს ღვთის წყალობად ჩათვალა. 1892-1903 წლებში იგი ტირასპოლის ეპარქიის სხვადასხვა სამრევლოში მსახურობდა. ახალგაზრდა მოძღვარი, სადაც კი მოღვაწეობდა, ყველგან სიყვარულსა და სათნოებას ნერგავდა, ზრუნავდა მოსახლეობის განათლებისათვის; საკუთარი ფიზიკური შრომით, რომელსაც ის ეწეოდა ეკლესიების კუთვნილ დამხმარე ნაგებობათა მშენებლობასა და ეზო-გარემოს კეთილმოწყობაში, მისაბაძ მაგალითს აძლევდა მრევლის წევრებს და მათ საყოველთაო აღიარებას, დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

1893-1894 წლებში მისი ხელმძღვანელობით აიგო კათოლიკური ეკლესიები პერეკოპსა და ბერდიანსკში. ასევე, მის ხელს უკავშირდება 1903 წელს ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის იდეა.

ამავე 1903 წელს, დონ დამიანემ, საქართველოში მოგზაურობისას, მეგზურობა გაუწია კათოლიკური სამყაროს გამოჩენილ მოღვაწესა და ქართველი ერის დიდ გულშემატკივარს, ტირასპოლის კათოლიკეთა ეპისკოპოსს, ბარონ დე როპპს. ეს მოგზაურობა თავის წერილში აღწერილი აქვს საზოგადო მოღვაწეს, საქართველოში კათოლიკობის ისტორიის მკვლევარს ზ. ჭიჭინაძეს.

1905 წლიდან 1939 წლამდე დონ დამიანე ქუთაისის კათოლიკური მონასტრის წინამძღვარია. იგი მღვდელმსახურებას ბრწყინვალედ უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში; თეოლოგია-ფილოსოფიასთან ერთად, მან ბრწყინვალედ იცოდა საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა, ზედმიწევნით ფლობდა უცხოურ ენებს: იტალიურს, ფრანგულს, პოლონურს, ლათინურსა და რუსულს; თავისუფლად ქადაგებდა იტალიურ და პოლონურ ენებზე; იყო ენციკლოპედიური განათლების, ჭეშმარიტად გამორჩეული ინტელიგენტი; დღენიადაგ სრულყოფდა საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას; თავდადებით ემსახურებოდა ყველა ადამიანს, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად.

საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შემდეგ, რომის მისიამ ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობა შეწყვიტა. პაპის რწმუნებული, კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ნატალე გაბრიელ მორიონდო 1921 წლის მარტში იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. კათოლიკეების მიმართ ანტირელიგიურმა ისტერიამ განსაკუთრებული ძალით იფეთქა, რადგან ისინი „იმპერიალისტური ევროპის“ პოტენციურ მოკავშირეებად ჩათვალეს. მათი ეკლესიები დაანგრიეს, ან არადანიშნულებისამებრ გადააკეთეს; სასტიკი რეპრესიებისა და შანტაჟის პირობებში უხდებოდათ ცხოვრება სიკვდილს გადარჩენილ მღვდლებს: დამიანე სააკაშვილს, ემანუელ ვარდიძეს, კონსტანტინე საფარაშვილს. მათ აქტიურად დევნიდა ბოლშევიკური რეჟიმი.

ეკლესიის დახურვის შემდეგ, დონ დამიანე სიცოცხლის ბოლომდე დარაჯად მუშაობდა ქუთაისის უბინოდ ჩასახვის საყვარელ ეკლესიაში და დიდი რუდუნებით უვლიდა მას.

სამშობლოსა და მრევლის წინაშე ვალმოხდილი მოძღვარი 1943 წლის 23 აპრილს, 79 წლის ასაკში აღესრულა. მიუხედავად ომის უმძიმესი დღეებისა, მის გასაცილებლად უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

ეკლესიის ვრცელ გალავანში, ღია ცის ქვეშ, გაისმა კომპოზიტორ ი. კონკონეს დიდი წირვის გულში ჩამწვდომი, ნაცნობი მელოდიები, ისე, როგორც მისი უკანასკნელი წირვის აღვლენისას.

სახელოვანი მამულიშვილი დიდი პატივით დაკრძალეს იქვე – ეკლესიის ეზოში, მისივე გაშენებულ ბაღში.

მოამზადა ნინო ჟღენტმა

ინდულგენცია: ღვთის გულმოწყალების უძვირფასესი საჩუქარი

(დასასრული, დასაწყისი „საბა“ № 3.2013)

„საბას“ წინა ნომერში (№3, 2013) პავლე VI–ის კონსტიტუციის ამ მოკლე წარდგენის შემდეგ, მსურს გავიხსენო, რომ როდესაც პროტესტანტი დამკვირვებლები ნახულობენ სამოციქულო პენიტენციარიუმის რომის დიკასტერიების სამსახურებს, მოწონებით აღნიშნავენ მათ მაღალ სულიერ, სამოძღვრო და ეკუმენურ ნიშან–თვისებებს.

თუკი დღეს გასაგებია ის ფაქტი, რომ ინდულგენციის შეთავაზებით, ეკლესიას ცხოვრების რეალური ცვლილება, მის წიაღში არსებული ცოდვისაგან თანდათანობით გათავისუფლება, ჩადენილი ცოდვების ჭეშმარიტი მონანიება და აღსარება სურს, ყოველთვის და ყველასთვის გასაგები როდია, თუ რატომ სჭირდება ადამიანს ინდულგენცია, როდესაც მან უკვე აღსარების წმიდა საიდუმლოთი მიიღო ცოდვათა შენდობა. რას მმატებს და რას მაკლებს ინდულგენცია ისეთს, რაც აღსარების საიდუმლოთი არ მომაკლდა, ან არ შემემატა? უკეთ რომ ჩავწვდეთ „სასჯელის“ არსს (კათოლიკური თეოლოგიის კლასიკური ტერმინოლოგიით), რისგანაც მომნანიებელი ადამიანი ინდულგენციის წყალობით თავისუფლდება, გთავაზობთ შემდეგ ტექსტს, რომელიც ამოღებულია ი. რაცინგერის წიგნის „იმედის სურათები“ შემდეგი თავიდან: „პორციუნკოლა, რას ნიშნავს ინდულგენცია“.

ასიზში ჩასული... პირველად XVI-XVII საუკუნეებში ანგელოზთა წმიდა მარიამის სახელობაზე აგებულ დიდებულ ბაზილიკას დაინახავ... თუმცა ის, რასაც ჩვენ ვეძებთ, ბაზილიკის ცენტრშია: შუა საუკუნეების სამლოცველო... სწორედ ეს ადგილი ინახავს მრავლისმეტყველ ისტორიას... რწმენაზე მოქცევიდან მესამე წელს ფრანცისკე ასიზელი ამ პატარა ეკლესიას წააწყდა, ეკლესია სავალალო მდგომარეობაში იყო, თითქმის ინგრეოდა, იგი სუბაზიოს მთის ბენედიქტელთა ორდენის მონასტერს ეკუთვნოდა. როგორც ფრანცისკეს სჩვეოდა, მუშაობას შეუდგა (ამის გამოცდილება მას უკვე ჰქონდა)... სწორედ ამ სამლოცველოში მიიღო მან თავისი საბოლოო გადაწყვეტილება, სასულიერო ცხოვრების გზას შესდგომოდა, რამაც მის მისიას ხორცი შეასხა და საშუალება მისცა მცირე ძმების საკუთარი ორდენი დაეარსებინა. გადმოცემის თანახმად, მსგავსად ეგვიპტელი წმიდა ანტონისა, ერთხელ ფრანცისკემ ეკლესიაში, ლიტურგიულ წირვაზე უფლის მიერ თორმეტი მოციქულის მოხმობის შესახებ სახარება მოისმინა... თავიდან ფრანცისკემ ტექსტი ბოლომდე ვერ გაიგო; ამიტომ მღვდლისაგან განმარტება ითხოვა და მაშინ ნათელი გახდა მისთვის მისი მისიაც. გაიხადა თავისი სამოსი, მხოლოდ მანტია დაიტოვა და გაემართა ღვთის სასუფევლისა და მონანიების საუწყებლად. მან ნელ-ნელა შემოიკრიბა თავის ირგვლივ მეგობრები, რომლებიც თორმეტის მსგავსად გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე და აუწყებდნენ სახარებას, რაც მათთვის, ისევე როგორც ფრანცისკესთვის, მათ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებისა და მონანიების გამო, სასიხარულო ნიშანი იყო ახლად წამოწყებულ საქმეში. პორციუნკოლა ფრანცისკესთვის იმ ადგილად იქცა, სადაც საბო-

პროციუნ კოლა

ლოოდ ჩაწვდა სახარების არსს... მას სურდა, ზუსტად გაეტარებინა ცხოვრებაში სახარებისეული პრინციპები... როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, სწორედ იქ ითხოვა გადაყვანა. პორციუნკოლა (Portiuncola) კნინობითი ფორმაა სიტყვისა portio „პორცია“, „ნაწილი“. ფრანცისკეს არასოდეს ნდომებია, რომ ის მისი ძმების საკუთრება გამხდარიყო, არჩია, ბენედიქტელებს გადაეცა იგი მათთვის, ანუ რაც მათი საკუთრება არ იყო, უნდა ყოფილიყო ჭეშმარტი საკუთრებისა და ავთენტური სიახლის გამოხატულება. სწორედ ამ სიტუაციას შეეფერებოდა მე-15 ფსალმუნი, რომელიც ძველ აღთქმაში ლევიანთა სამღვდელო მოდგმის განსაკუთრებულ ბედზე საუბრობდა, რომლებსაც მიწის მცირეოდენი ნაწილიც კი არ ეკუთვნოდათ: „უფალი ჩემი მემკვიდრეობისა და თასის ნაწილია; შენს ხელშია ჩემი ხვედრი. ჩემი მამულები მშვენიერ ადგილებში მერგო, სამკვიდროც მოსაწონია ჩემთვის“. პორციუნკოლა, როგორც ვნახეთ, უწინარესად ადგილია, მაგრამ ფრანცისკე ასიზელს უნდა ვუმადლოდეთ, რომ იგი იქცა სულისა და რწმენის რეალობად... ის მხოლოდ წარსულის ისტორიას კი არ შეგვახსენებს, ან უბრალო იდეას კი არ წარმოადგენს, არამედ ჯერ კიდევ აცოცხლებს მონანიებისა და წყალობის იმ კავშირს, რაც ცნობილია, როგორც ე.წ. *ასიზის შენდობა*, რასაც ალბათ უნდა ვუწოდებდეთ *პორციუნკოლას შენდობას*. რაში მდგომარებს მისი ნამდვილი არსი? ტრადიციის მიხედვით, რაც XIII ს-ის ბოლოდან მომდინარეობს, ფრანცისკემ 1216 წლის ივლისში, ახლომდებარე ქალაქ პერუჯაში მოინახულა პაპი ჰონორიუს III... და მას უჩვეულო თხოვნით მიმართა: მთელი თავისი ცხოვრებით გამოითხოვა ინდულგენცია ყველა მათგანზე, ვინც პორციუნკოლას პატარა ეკლესიას მოილოცებდა, აღსარებას იტყოდა და მოინანიებდა ყველა ჩადენილ ცოდვას... წმიდა ფრანცისკეს დროს, მონანიებისა და ცოდვების მიტევებასთან ერთად, ეკლესია მოითხოვდა მომლოცველობას სანტიაგოში, რომსა და, უწინარესად, იერუსალიმში... ამრიგად, თუკი ფრანცისკემ ითხოვა, რომ შენდობის მიღება შესაძლებელი ყოფილიყო პორციუნკოლას წმიდა ადგილის მოლოცვით, ეს სიახლე იყო... ფრანცისკეს, – რომელმაც აღმოაჩინა სიღატაკის არსი და ღატაკები, – ამ თხოვნით ამოძრავებდა თანაგრძნობა სწორედ ღატაკთადმი, რომლებსაც არ ჰქონდათ ძალა და საშუალება, წმიდა მიწის მოსალოცად წასულიყვნენ; მათ ხომ არაფრის გაღება არ შეეძლოთ, გარდა თავიანთი რწმენისა, ლოცვისა და სახარებისეული ცხოვრებისადმი მზაობისა. ამ თვალსაზრისით, პორციუნკოლას ინდულგენცია მონანიება იყო განსაცდელში მყოფი კაცისთვის, რომლის ცხოვრებაც უკვე ერთგვარი მონანიება გახლდათ. უეჭველია, ამას უკავშირდებოდა ასევე თავად მონანიების არსისადმი შინაარსის მიცემა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ აკლდა სათუთი გამომხატველობაც, რაც გულისხმობდა პორციუნკოლას მოკრძალებული და უბრალო ადგილის მომლოცველობას, რაც, ყველაფერთან ერთად, უნდა ყოფილიყო სახარების იმ რადიკალური ფორმის გაზიარება, რასაც ეწოდა ფრანცისკე ამ ადგილას.

ცხადია, ვერ უარყოფ იმ ფაქტს, რომ ინდულგენციას, – რომელიც თანდათანობით ავლენდა თავის სპეციფიკურ ხასიათს, – მთელ რიგ დარღვევებს, უფლებების გადამეტებას მიაწერდნენ, რასაც საკმაოდ დრამატული ფაქტებით გვამცნობს ისტორია. თუმცა, თუ ჩვენს მეხსიერებაში მხოლოდ ამგვარ ფაქტებს შემოვინახავთ, მაშინ ზედაპირულ დამოკიდებულებას გამოვიჩენთ ამ ფენომენის მიმართ, რითაც მას ზიანს მივაყენებთ. როგორც წესი, გაცილებით რთული შესამჩნევია დიადი და წმინდა, ვიდრე უხეში და მზაკვრული. ცხადია, აქ ვერ დავიწყებთ მთელი იმ ისტორიული ცოდნის გამომზეურებას და სიუჟეტურ განმარტებას, რაც *პორციუნკოლას* მოვლენიდან შემდგომ პერიოდში განვითარდა. მხოლოდ ყველაზე მთავარს გამოვყოფთ. როგორც კი ეს სპეციფიკური ინდულგენცია გაიცა, მაშინვე გამოჩნდა მეორე მხარე, რამაც დააფიქრა ღვთისმოშიში ადამიანები: რატომ უნდა შევინახო ეს წყალობა მხოლოდ ჩემთვის? რატომ არ შემიძლია, გავუზიარო სხვას ის, რაც სულიერების კუთხით მომენიჭა, სწორედ ისე, როგორც ეს მატერიალური კუთხით ხდება? ასე წუხდნენ ისინი თავიანთი ახლობლების, საიქიოში მყოფი სულების ბედზე, მაშინ როდესაც მათთვის ძვირფასი ადამიანების, – და იმათიც, ვისაც ოდესმე უწყენინებიათ, – სისუსტე და შეცდომები ცნობილი იყო. მაშ, რატომ არ უნდა ეზრუნათ მათზე? რატომ არ უნდა ეზრუნათ იმაზე, რომ ღვთის წყალობა სამარხს იქითაც გადასულიყო და ასე შეწეოდნენ სულებს ფათერაკიან მოგზაურობაში? სწორედ აქ იჩენს თავს კაცობრიობის უძველესი განცდა, რომელიც ისტორიის მანძილზე მრავალგვარი ფორმით გამოიხატა წინაპართა საკულტო მსახურებაში. ქრისტიანულ რწმენას არ უარუყვია ადამიანთა ეს ფასეული განცდა, თუმცა ცდილობდა ამ გრძნობის განწმენდას და მისთვის ავთენტური ღირსების მინიჭებას. *„ვინაიდან, თუ ვცოცხლობთ, უფლისათვის ვცოცხლობთ და, თუ ვკვდებით, უფლისათვის ვკვდებით. და ამიტომ, ვცოცხლობთ თუ ვკვდებით, უფლისანი ვართ“* (რომ. 14,8). ეს კი ნიშნავს: მთავარი და ნამდვილი საზღვარი გადის არა სიკვდილზე, არამედ უფალზე მიკუთვნებასა და არმიკუთვნებაზე. თუკი უფალს ვეკუთვნით, მაშინ მისი მეშვეობით და მასში, ახლოს ვართ ერთმანეთთან. ამიტომაც ამის ლოგიკური შედეგია სიყვარული, რომელიც სიკვდილის ზღურბლს სცილდება. ასე რომ, ვინც კი მოინდომებდა მიტევებით მიღებული მადლის გაზიარებას საიქიოში მყოფი ახლობლისთვის, ამას ახერხებდა *per modum suffragii*-ის ლოცვის მეშვეობით. გარდაცვლილთა სულებისთვის ლოცვა, რასაც ოდითგანვე მიმართავდა ეკლესია, განსაკუთრებულ მუხტს იძენდა. სწორედ ამ პირობით იქცა ინდულგენცია, ყოველგვარი დარღვევებისა და ორაზროვნების გარეშე, ლოცვაში მხურვალე მოწვევად. აქვე ვიტყვი, რომ თავიდან ინდულგენცია მხოლოდ *პორციუნკოლაში* გაიცემოდა, მოგვიანებით ის გავრცელდა ჯერ ფრანცისკელთა ეკლესიებში, 2 აგვისტოს (ეს დღე პორციუნკოლას პატარა სამლოცველოს ეძღვნება) კი ყველა ეკლესიის სამრევლოში.

ჩემს მეხსიერებაში ასიზის მიტევების დღემ ძლიერი შინაგანი მუხტი დატოვა; ეს იყო ლოცვის დღე, როდესაც სულიერი სიმშვიდით მივიღე წმიდა საიდუმლოებები. სამრევლო ეკლესიის წინ მდებარე მოედანზე ამ დღეს განსაკუთრებული, ზეციური სიმშვიდე სუფევდა. ეკლესიაში უწყვეტად შედიოდა და გამოდიოდა ხალხი. იგრძნობოდა, რომ ქრისტიანობა არის წყალობა, რომელიც ლოცვით გამოიხატება. ინდულგენციის შესახებ არსებული ყველა თეორიისგან დამოუკიდებლად, ეს იყო რწმენისა და ფარული იმედის დღე, რომ ლოცვა აუცილებლად შესმენილ იქნებოდა, განსაკუთრებით კი – გარდაცვლილთა სულების მიმართ. თუმცა ჟამთა მსვლელობაში ამას სხვა იდეაც დაემატა, რაც დღეს შეიძლება საკმაოდ უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ სწორედ იგი შეიცავს სიმართლის მარცვალს. რაც უფრო მეტად აღიქმებოდა ინდულგენცია სხვების შეწევნად, მით უფრო ეხსნებოდა გზა მეორე კონცეფციას, რომელიც თეოლოგიურ საფუძველს უდებდა ამ ახალ ფორმას და, ამავე დროს, სრულყოფილებისაკენ მიყავდა იგი. საიქიოში მყოფ სულთა მიმართ ლოცვა აუცილებლად გამოიწვევდა წმიდანებთან თანაზიარებას და სულიერ წყალობას. სწორედ აქ, კიდევ ერთხელ იჩენს თავს ეს კითხვა: რას ნიშნავს ყოველივე ეს? ხომ არ არის ეს რელიგიური მერკანტილურობის უაზრო ფორმა? კითხვა კიდევ უფრო მძაფრდება, როცა საუბარი ეხება ეკლესიის საუნჯეს, რომელიც წმიდანების ღვაწლს გულისხმობს. ანუ რას ნიშნავს ეს? ყველამ თავად ხომ არ უნდა იზრუნოს საკუთარ თავზე? რა სარგებელს მომიტანს მე სხვის მიერ გაკეთებული სიკეთე? ეს კითხვები ჩვენც გვაწუხებს, ვინაიდან, ყოველგვარი სოციალისტური იდეალების მიუხედავად, ორპირობითა და ინდივიდუალიზმით სავსე ეპოქაში ვცხოვრობთ. თუმცა, ადამიანები ვერ ჩაიკეტებიან თავიანთ თავში. მათ ურთიერთობა აქვთ სხვებთან და დამოკიდებულნი არიან მათზე, არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ სულიერად, კულტურულად და მორალურად. შევეცადოთ, გავამარტივოთ ეს კონცეფცია და დავიწყოთ მისი უარყოფითი მხარიდან. არიან ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარ თავს ანადგურებენ, არამედ სხვებსაც, დამანგრეველ ზიანს აყენებენ ირგვლივ ყველაფერს, რაც უარყოფით მუხტს გადასცემს მთელ თაობებს. როცა ჩვენი დროის დიდ ავანტიურისტებს გავიხსენებთ, დავრწმუნდებით ამ რეალობაში. ადამიანის გარიყვა და უარყოფა გადამდები სნეულებასავითაა, რომელიც სხვებსაც ითრევს. მაგრამ, ღვთის წყალობით, უარყოფითი ენერგიის მქონე ადამიანებისგან განსხვავებით, არსებობენ ადამიანები, რომლებიც უხვად გასცემენ სიყვარულს, ბოლომდე დაითმენენ ტანჯვას, სიხარულს ანიჭებენ სხვებს, მათი გულწრფელობა სხვებსაც გადაედება, შეეწევა და ამხნევებს. ყოფიერების სიღრმეში თითქოს მართლაც არსებობს რაღაც ძალა, როგორც უფლის ნაცვალი. ქრისტეს ყველა საიდუმლო სწორედ ამას ეყრდნობა. მაშინ შეიძლება ვთქვათ: კარგი, ასეა. მაშ, ქრისტეს უხვი სიყვარული კმარა და სხვა არაფერია საჭირო. მხოლოდ იგი დამიხსნის და მაცხონებს, ყველაფერი დანარჩენი პრეზუმციაა, თითქოს ჩვენ რაღაც უნდა დავუმატოთ მის უსასრულო სიყვარულს ჩვენივე სრულყოფილებით; ცხადია ასეა, მაგრამ ყველაფერი ამით არ ამოიწურება. ქრისტეს სიყვარულის სიდიადე ბოლომდე მონაწილეს გვხდის მისი საქმისა და მისი ვნებისა. ამას კოლოსელთა მიმართ წერილი შეგვახსენებს: *„ახლა კი ვხარობ ჩემი ტანჯვებით თქვენს გამო და ჭირს, რაც ქრისტეს დააკლდა, ვავსებ საკუთარი ხორცით მისი სხეულისათვის, რომელიც ეკლესიაა“* (კოლ. 1, 24). კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ ახალი აღთქმიდან, სადაც ეს ჭეშმარიტება საოცარი ფორმით არის გამოხატული: ესაა წმ. იოანეს *გამოცხადება, სადაც* საუბარია სასძლოზე (ეკლესია – როგორც სახე გამოხსნილი კაცობრიობისა...), რომელიც შემოსილია უბრალო სელის თეთრი სამოსით, სპეტაკი და მბრწყინავი ბისონის ქსოვილით: *„მიეცა მას, რომ ჩაეცვა ნათელი და წმიდა ბისონი, ვინაიდან წმიდა ბისონი წმიდანთა სამართლიანობაა“* (გამოცხ. 19,8). წმიდანების ცხოვრებაში ეს მბრწყინავი თეთრი ბისონი

საგანგებო ჩანართი

მარადისობის სამოსია. განვმარტოთ მეტაფორა: სულიერ სფეროში ყველას ყველაფერი ეკუთვნის... სხვისი სიკეთე ჩემს სიკეთედ იქცევა, ჩემი – მისად. ყველაფერი ქრისტედან მომდინარეობს, მაგრამ რადგანაც ჩვენ მას ვეკუთვნით და მასში ვართ, ის, რაც ჩვენია – მისი ხდება და გარემოსილია მაცხოვნებელი ძალით. აი, ამას გულისხმობს ფრაზა – „ეკლესიის საუნჯე“, ანუ წმიდათა „ღვაწლი“. ითხოვო ინდულგენცია – ნიშნავს ეზიარო სულიერ წყალობას და თავად ჩადგე მის განკარგულებაში. მონანიების იდეა, – რაც *პორციუნკოლაში* დაიწყო, – შემდგომში ამ წერტილამდე მივიდა: ადამიანი არც სულიერად ცხოვრობს საკუთარი თავისთვის. ზრუნვა საკუთარი სულის გადასარჩენად გვიხსნის სევდისა და ეგოიზმისგან, ვინაიდან ამ გზით სხვების გადარჩენაზე ვფიქრობთ. ასე იქცა პორციუნკოლა და მის წიაღში შობილი ინდულგენცია მოვალეობად, ზრუნვად სხვათა სულების გადასარჩენად და ამ გზით საკუთარი თავის გადასარჩენად. აქ ზედმეტია ეს კითხვა: გადავრჩები? ჩვენ უნდა ვიკითხოთ: რას ითხოვს ღმერთი ჩემგან სხვების გადასარჩენად? ინდულგენციას მივყავართ წმიდანებთან ზიარებამდე, ქრისტეს საიდუმლომდე და ლოცვამდე, რომელიც ქრისტესთან და მის ნებასთან შესისხლხორცების ერთადერთი გზაა. იგი გვიწვევს, გავინაწილოთ ახალი კაცობრიობის თეთრი სამოსელი, რომელიც თავისი სისადავით ნამდვილი მშვენიერებაა;



ინდულგენცია ერთგვარი სახეა პორციუნკოლას ეკლესიისა: როგორც აქ უნდა გავიაროთ დიდი ნაგებობის ცივი და უცხო ადგილები, რომ მის ცენტრში ვიპოვოთ პატარა ეკლესია, რომელიც ჩვენს გულებს აღელვებს, ასევე უნდა გავიაროთ ისტორიისა და თეოლოგიური იდეების რთული გზა, რომ საბოლოოდ მივიდეთ მარტივ ჭეშმარიტებამდე: ლოცვამდე, რომელიც გვაზიარებს წმიდანებთან, რათა მათთან ერთად შევიტანოთ ჩვენი წვლილი ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებაში და ვიცოდეთ, რომ საბოლოოდ ყველაფერი წყალობაა.

* * *

დასასრულს, მინდა წარმოგიდგინოთ მოკლე ინტერვიუ ერთ-ერთ ოჯახთან, რომელიც 2012 წლის ოჯახების საერთაშორისო შეხვედრაში მონაწილეობდა მილანში; ამ შეხვედრაზე პაპმა ინდულგენციის მადლი გასცა. აი, რას ნიშნავს მათთვის ინდულგენცია:

ინდულგენცია პატიების მადლს გვანიჭებს მთელ ოჯახს, რაც ფუნდამენტური პირობაა ოჯახის ცხოვრებაში. გარკვეული თვალსაზრისით, შემიძლია ვთქვა, რომ ჯერ კიდევ ცოლ-ქმარი ვართ, რადგან ერთმანეთს მივუტევებთ, ერთმანეთს ვურიგდებით. ეს ქორწინების საიდუმლოცაა და ნებისმიერი სოციალური ურთიერთობისაც: გიყვარდეს ადამიანი ისეთი, როგორიც არის. სიყვარულის ეს ძალა მაღლიდან მოდის და არა ადამიანისგან. ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის ზოგჯერ ძნელია ერთმანეთის ისეთად მიღება, როგორებიც ვართ. ამიტომაც ვთქვი, რომ ეს ღვთის მადლია, შესანიშნავი საშუალებაა ინდულგენცია, ანუ ცოდვების სრული მიტევება; მე უნდა შევძლო ჩემი მეუღლის პატიება, თუკი თავად ვგრძნობ, რომ ღმერთმა მაპატია. ეს ნამდვილად შესანიშნავი სიახლეა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ წმიდა მამას.

თქვენ და თქვენი მეუღლე 31 წლისანი ხართ. არის მომენტები, როცა ერთად ლოცულობთ და ცდილობთ რწმენის გადაცემას, შეგიძლიათ მიუტევოთ თქვენს შვილებს, რომლებიც ჯერ კიდევ პატარები არიან?

რასაკვირველია, ისინი პატარაობიდანვე უნდა აღიზარდონ რწმენაში. კვირა დილით მთელი ოჯახი ვლოცულობთ „დილის ქებანს“. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის; ნორმალურია, როცა ისინი ხედავენ, თუ როგორ კამათობენ მათი მშობლები, – უცნაური იქნებოდა პირიქით, – მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დაინახონ შერიგების მომენტიც, რომელიც სწორედ პატიებით გამოიხატება. თუნდაც იმიტომ, რომ ჩავუსახოთ ის იმედი, რომ მათაც შეუძლიათ ერთმანეთს აპატიონ, რომ ეს პრობლემა მხოლოდ უფროსებს არ ეხება: ნებისმიერი ასაკის ადამიანი ფიქრობს, რომ ყოველთვის მას ადანაშაულებენ.

მოამზადა

მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

სიახლე მთისძირში

კახეთში, სოფელ მთისძირში უკვე ერთი წელია, რაც კათოლიკე ქრისტიანთათვის (და არა მარტო მათთვის) წმიდა წირვის ჩასატარებლად გაიხსნა სამლოცველო სახლი, სადაც ყოველ შაბათს მღვდელი და დიაკვანი აღავლენენ წირვას.

ამა წლის პირველი თებერვლიდან, სამლოცველო სახლის ერთ-ერთ ოთახში, მოსწავლე ახალგაზრდობის ცოდნის გაღრმავება-განვითარებისათვის, გაიხსნა ინგლისური ენისა და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი უფასო წრეები. კურსის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები მიიღებენ სერთიფიკატს.

ამერიკული პროექტით გახსნილი წრეებით ბევრი ახალგაზრდა და ბავშვი დაინტერესდა. შეიქმნა რამდენიმე ჯგუფი ყველა ასაკის მსურველთათვის. მეცადინეობა იწყება დღის მეორე ნახევარში.

პროექტს ხელმძღვანელობს დიაკვანი ედვარდ გოგილაშვილი, რომელიც ძალასა და ენერგიას არ იშურებს სოფლის ახალგაზრდების დასახმარებლად. შესანიშნავად მოეწყო სამეცადინო ოთახი: კომპიუტერებით, ახალი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით. სუფთა და მყუდრო ოთახი შესანიშნავ გარემოს ქმნის ცოდნის მისაღებად.

სარემონტო სამუშაოები დღესაც გრძელდება. ახალგაზრდები გახარებულნი არიან და მადლიერებას გამოხატავენ ყველა ღვთისმსახურისა და ქველმოქმედის მიმართ.

მთისძირის ახალგაზრდები

მადლობა ლამაზი ღლისთვის

2013 წლის 17 იანვარს, ვალეს საკრებულოს მგალობელთა გუნდის ბავშვები, ხათუნა ჯანაშვილისა და მამა არტურ გარბეცკის ხელმძღვანელობით, ბაკურიანში გავემგზავრეთ.

სიხარულითა და ემოციებით აღვსილებმა, ისე მივაღწიეთ ამ სახელგანთქმულ სამთო-სათხილამურო კურორტამდე, გზის სიშორე ვერც კი ვიგრძენით. ჩვენს თვალწინ გადაიშალა თოვლით დაფარული ულამაზესი ტყეები და მინდვრები. ბაკურიანის ახლომახლო მდებარე გორაკები ფერად-ფერად ტანსაცმელში შემოსილი დამსვენებლებით იყო აჭრელებული.

ჩვენც მალე მოვეფინეთ დათოვლილ გორაკებს, ზოგმა თხილამურებით სრიალი არჩია, ზოგმა ციგით, ზოგმა კიდევ სკუტერით.

ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი საბაგიროთი ასლვა იყო: მიუხედავად სიცივისა და ზამთრის სუსხისა, საბაგიროს სულ ზემოთ და ზემოთ მივყავდი და სუნთქვაშეკრული ვათვალიერებდი არნახულ სილამაზეს. სიმაღლიდან დაშვება კი ნამდვილი სასწაული იყო; მაგრამ ყველაზე მეტად რაც მომეწონა, ეს ცხენით სეირნობა იყო. მე ძალიან მიყვარს ეს ცხოველი, ამიტომაც ყველაზე მეტი დრო ცხენით სეირნობას დავუთმე.

▶ 12 ბბ.

◀ 11 გვ. დრომ სწრაფად გაირბინა. დაღლილები, მაგრამ ბედნიერი და მზით გარუჯული ბავშვები ხალისიანად დავეშვით ქვემოთ. ასე დასრულდა ეს ღამაზი დღე და შთაბეჭდილებებით სავსენი დავბრუნდით ჩვენს მშობლიურ კუთხეში.

ვალეს მგალობელთა გუნდის სახელით, მინდა მადლობა ვუთხრა მამა ზურაბ კაკაჩაშვილს, რომელიც ყოველთვის ზრუნავს ჩვენზე და მუდამ ჩვენს გვერდითაა. ღმერთმა ჯანმრთელობა, მხნეობა და დღეგრძელობა მოგცეთ მამა ზურაბ. ასევე დიდი მადლობა მამა არტურს და გუნდის ხელმძღვანელს ხათუნა ჯანაშვილს.

მადლობა უფალს ამ ღამაზი დღისათვის.

ლუჩია ჩიტაშვილი
(10 წლის)

ახალციხე, რაბათი — ღვთათა მონასტერი

პირველი შთაბეჭდილება

ჩემი დიდი ოცნება იყო, რომ საქართველოში ყოფილიყო ისეთი ადგილი, სადაც შევძლებდი ნებისმიერ დროს, შესაძლებლობისა და სურვილის მიხედვით, მისვლას, სიჩუმეში ყოფნას, ლოცვას და ამ სიჩუმეში „ღვთის ხმის“ მოსმენას. იქ გატარებული დღეები ჩემთვის იყო დიდი მადლი და ამ ყველაფრის ასრულების შესაძლებლობა. ჩაკეტილ მონასტერში არაჩვეულებრივი, ყურადღებიანი, გულთბილი ბენედიქტელი დების გვერდით ყოფნა განსაკუთრებული და ამაღელვებელი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში, იქ ყოფნის მადლსა და ძალას თანდათან უფრო და უფრო მეტად ვგრძნობ და უფრო მეტად ვაფასებ იმ დღეებს...

რაბათის მონასტერი ისეთი დიდებული, წმინდა, მშვიდი ადგილია, რომ თუ ოდესმე ეჭვი შემპარვია ჩემი რწმენის სიძლიერეში, იქ თითქოს „თავისით“ პოულობ შენში ძალას, იმედის ნაპერწკალს, სიხარულს, რასაც იწვევს გულითადი ლოცვა (ჟამთა ლიტურგიის ლოცვები) ბენედიქტელ დებთან ერთად. ასევე, არაჩვეულებრივი იყო მონასტრის წინამძღვრის დარიგებები...

იქ, მარიამის წინაშე, მისი სისპეტაკის ძალით, შევძელი გამემხილა: კითხვები, ეჭვები, იმედები, თხოვნები. და ამ ლოცვასა და სიჩუმეში უფრო და უფრო დავრწმუნდი, რომ ღმერთი ჩემს გულშია და მუდამ ჩვენთვის ზრუნავს.

მადლობა ღმერთს, ამ უდიდესი შესაძლებლობისთვის – ბენედიქტელი დებისთვის, რომლებიც დიდი სიხარულითა და სითბოთი დამხვდნენ რაბათის მონასტერში. ასევე დიდი სიხარულით ელოდებიან ყველას, ვინც გამოიყენებს ამ განსაკუთრებულ შესაძლებლობას. მათთან ყოფნა, სიმშვიდე, ლოცვა სწორედ რომ დროულია ჩვენი რეალობისთვის.

ნინო გოზალიშვილი

მამა პიერ დიუმულენი

სულიწმიდა წმ. ლუკასთან

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ №2-3, 2013)

სულიწმიდის შესახებ (ახალი აღთქმის სხვა ავტორებთან შედარებით) ყველაზე ხშირად წმ. ლუკა საუბრობს. გასაკვირიც არ არის, რადგანაც ლუკას დიდი მისიონერული გამოცდილება ჰქონდა: ამაზე მიუთითებს მისი მეორე წიგნი – „მოციქულთა საქმეები,“ მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ლუკა შეეცადა წარმოეჩინა მარიამის როლი ხსნის ისტორიაში: მარიამი მადლითაა აღვსილი, სულიწმიდის სასძლოა. ლუკას სახარება გვასწავლის, თუ როგორ უნდა მივიღოთ სულიწმიდა.

იესოს ყრმობის შესახებ თხრობა სულიწმიდითაა აღვსილი

ლუკას სახარების კითხვისას, ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ როგორ განამზადებს სულიწმიდა იესოს გზას. დასაწყისშივე, **იოანე ნათლისმცემლის ჩასახვის** გაცხადების შემდეგ, მთავარანგელოზი გაბრიელი ზაქარიას ამცნობს: *„...დიდი იქნება ის უფლის წინაშე... და სულიწმიდით აღივსება დედის მუცლიდანვე“* (ლუკ. 1, 15). ხოლო როდესაც ელისაბედს *„დაუდგა მშობიარობის ჟამი და **შვა ვაჟი**“* (ლუკ. 1, 57), *„მამამისი ზაქარია აღივსო სულიწმიდით და წინასწარმეტყველებდა და ამბობდა...“* (ლუკ. 1, 67).

„ხარება“ (ლუკ. 1, 26-38) ლუკასთვის ყველაზე ნიშნეული ტექსტია. ჩვენ კვლავ ვხვდებით მთავარანგელოზ გაბრიელს, რომელიც გვამცნობს სულიწმიდის ფუძემდებლური როლის შესახებ განკაცების საიდუმლოში. მარიამის კითხვაზე: *„როგორ იქნება ეს..?“* – ანგელოზმა მიუგო: *„სულიწმიდა გადმოვა შენზე და მაღლის ძალა მოგიჩრდილავს. ამიტომ წმიდა შობილი იწოდება ღვთის ძედ“* (ლუკ. 1, 34-35). სწორედ აქედან მომდინარეობს „მრწამსის“ სიტყვები, და ამ სიტყვებს ყოველი საკვირაო წირვისას წარმოვთქვამთ: „...ხორცი შეისხა სულისა წმიდისა მიერ, მარიამისაგან ქალწულისა და განკაცდა...“ ყოველი ჩვენგანის მუდმივ კითხვაზე: „როგორ?!“ – პასუხი ყოველთვის ერთია: შესთხოვეთ სულიწმიდა.

სულიწმიდაზეა საუბარი ასევე მონახულების – ***ელისაბედისა და მარიამის შეხვედრის*** – ეპიზოდში (ლუკ. 1, 39-56). სულიწმიდას მიჰყავს მარიამი მის ნათესავთან, ელისაბედთან. სულიწმიდით აღძრული *„ყრმა შეუტოკდა მუცელში“*, რათა გაცხადებულიყო ღმრთის მყოფობა – მარიამის *„მუცლის ნაყოფი.“*

„როცა ელისაბედმა მარიამის მისალმება მოისმინა, ყრმა შეუტოკდა მუცელში. და აღივსო ელისაბედი სულიწმიდით. და დაიძახა ხმამაღლა და თქვა: „კურთხეული ხარ დედათა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი! ვინა ვარ მე, რომ ჩემი უფლის დედა მოვიდა ჩემთან? ვინაიდან, როცა შენი მოსალმების ხმა მოსწვდა ჩემს ყურს, სიხარულით შეტოკდა ყრმა ჩემს მუცელში“ (ლუკ. 1, 41-44). სულიწმიდაა ის, ვინც გვაიძულებს ვაღიაროთ ღმრთის მყოფობა სხვის გულში.

მამის სიტყვები ხარების ანგელოზის ბაგეთაგან მოედინება, სწორედ სულიწმიდაა წყარო ელისაბედის სიტყვებისა და ჩვენი ლოცვისა: „გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ...“

ტაძრად წარდგინების, მირქმის ეპიზოდში (ლუკ. 2, 21-38) ლუკა სამჯერ მოიხსენიებს სულიწმიდას იმის სარწმუნოდ, რომ სიმონს სულიწმიდა მიუძღოდა: *„...სულიწმიდა იყო მასზე. სულიწმიდისგან ჰქონდა ნაუწყები, რომ არ იხილავდა სიკვდილს უფლის ცხებულის ხილვამდე. შევიდა სულით ტაძარში...“* (ლუკ. 2, 25-27). სულიწმიდას მუდამ მივყავართ იესოსთან, მასთან შეხვედრის სურვილს აღძრავს ჩვენში და ლოდინს გვასწავლის.

იესოს მისია და სულიწმიდა

იოანე ნათლისმცემელი გვიცხადებს, რომ იესო მოდის, რათა სულიწმიდა გვიბოძოს. იესოს ნათლობის ეპიზოდში ისევ ვხედავთ სულიწმიდას მტრედის სახით, რომელიც აღასრულებს თავის საქმეს (ლუკ. 3, 16. 21-22). იოანემ ყველას განუცხადა: *„მე წყლით გნათლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი, რომლის სანდლის თასმის გახსნის ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით“* (ლუკ. 3, 16). და შემდგომ, *„როცა მთელი ხალხი ინათლებოდა და იესოც მოინათლა და ლოცულობდა, გაიხსნა ცა და გადმოვიდა მასზე სულიწმიდა ხორციელი სახით, როგორც მტრედი, და გაისმა ზეცით ხმა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“* (ლუკ. 3, 21-22).

სწორედ ნათლობის შემდეგ იწყება ***იესოს მისია სულიწმიდის მოძღვრობით:*** *„იესო, სულიწმიდით აღვსილი დაბრუნდა იორდანედან და სულით გაყვანილ იქნა უდაბნოში“* (ლუკ. 4, 1); *„დაბრუნდა იესო სულის ძალით გალილეაში...“* (ლუკ. 4, 14; იხ. ლუკ. 4, 18 და ეს. 61, 1). სულიწმიდა გვასწავლის, რა ვაკეთოთ, რათა ღმრთის ნება შევასრულოთ.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს მივაქციოთ ყურადღება (ლუკ. 10, 21-22). სულიწმიდა იესოს ლოცვის საიდუმლოს გვიცხადებს: *„იმ დროს სულში გაიხარა იესომ და თქვა: „გადიდებ შენ, მამაო, უფალო ცისა და მიწისა, რადგან დაუფარე ეს ბრძენთა და გონიერთ, ჩვილებს კი განუცხადე...“*

▶ 14 გვ.

◀ 13 გვ.

მოგვიანებით, იესო იტყვის: *„...ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს“* (ლუკ. 11, 13). მათეს სახარებაში კი უბრალოდ ნათქვამია: *„ითხოვეთ და მოგეცემათ“* (მათ. 7, 7). შევევედროთ მამას, რომ სულიწმიდამ მარად იმოქმედოს ჩვენში!

სულიწმიდა და საპასექო საიდუმლო

მახარებელთა შორის, მხოლოდ ლუკასთანაა მოთხრობილი ჯვარცმულის ლოცვის შესახებ. იესო წარმოთქვამს ფსალმუნებს, და მისი უკანასკნელი სიტყვები – ფსალმუნის სიტყვებია: *„მამაო, შენს ხელთ გაბარებ ჩემს სულს“* (ლუკ. 23, 46 შდრ. ფსალმ. 30[31], 6). სულიწმიდა, რომელიც „მამისაგან და ძისაგან გამოვალს,“ ნათლობისას მამისგან გარდმოვიდა იესოზე, ხოლო ჯვარცმული ძისგან მამას დაუბრუნდა. ასე შეიკრა სამების წრე.

აღმდგარი იესო ჰპირდება მოციქულებს სულიწმიდის მოვლინებას, გავიხსენოთ მისი ბოლო სიტყვები: *„და აჰა, მე მოვავლენ თქვენზე მამაჩემის აღთქმულს. თქვენ კი დარჩით ქალაქში, ვიდრე მაღლიდან ძალით შეიმოსებოდეთ“* (ლუკ. 24, 49). და სწორედ სულიწმიდაზეა საუბარი „მოციქულთა საქმეების“ პირველ მუხლებში: *„იმ დღემდე, ვიდრე ამაღლდებოდა, სულიწმიდით მოძღვრავდა მოციქულებს...“* (საქმე 1, 2); *„...თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი...“* (საქმე 1, 8). ჩვენ, სულიწმიდის ძალით პასექის საიდუმლოს მონაწილენი, მამისა და ძის სიყვარულის საიდუმლოს მოზიარენი ვხდებით. სულიწმიდა ცოცხლობს ჩვენში და, ამგვარად, მისი წყალობით ჩვენ ვმოწმობთ იესოს.

ჩვენ სულიწმიდა გვიძღვება

ლუკა „მოციქულთა საქმეების“ წიგნში სულიწმიდას 56-ჯერ მოიხსენიებს. და მართლაც, სულიწმიდა მოძღვრავს ეკლესიას, მსახურების მისიაში მუდამ თან ახლავს წმ. პეტრეს, წმ. პავლესა და სხვა მრავალს და წინ უძღვის მათ *„ქვეყნის კიდემდე“* (საქმე 1, 8).

რა შეგვიძლია მოვიპოვოთ ჩვენი ცხოვრებისთვის? ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი სულიწმიდით აღვსილია, მისი წყალობით განმტკიცდა ეკლესიაში ღმრთის მყოფობა, რომელიც მოქმედებს ადამიანში კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. დღესაც, სულიწმიდა მოქმედებს საიდუმლოებებში, მთელ მსოფლიოში განვრცობილი ეკლესიის მისიაში, ყოველი მორწმუნის ცხოვრებაში. როდესაც რაიმეს ვაკეთებთ ქრისტესთვის, მარტონი არასდროს ვრჩებით – ჩვენი პირით სულიწმიდა ლაპარაკობს: *„...ნუ იზრუნებთ იმაზე, როგორ ან რა უპასუხოთ, ვინაიდან სულიწმიდა გასწავლით მაშინ, რაც უნდა ილაპარაკოთ“* (ლუკ. 12, 11-12). სულიწმიდა გვიძღვება და გვასწავლის, რა უნდა ვაკეთოთ სამყაროს ხსნისთვის, ის გვიჩვენებს ბედნიერებისა და ჭეშმარიტი სიცოცხლისკენ მიმავალ გზას. ჩვენ კი მოსმენა უნდა შეგვეძლოს და ლოცვაში, იესოს მსგავსად, სულიწმიდისგან შთაგონება მივიღოთ. სულიწმიდა გვესაუბრება დუმილში. ჩვენ ასევე უნდა შევთხოვოთ სულიწმიდის ძალა, რათა ღმრთის ნება შევასრულოთ, რამეთუ სულიწმიდა არა მხოლოდ გვასწავლის, არამედ ისეთ გარდაქმნას ახდენს ჩვენში, რომ ჩვენი ნება ღმრთის ნებას უერთდება. ამგვარად, სულიწმიდა თავად ძღვენია და, იმავდროულად, მრავალ ძღვენთა მომნიჭებელი და მადლის წყაროა. მივაშუროთ იმ წყაროს, რომელიც არასოდეს დაიშრიტება! სულიწმიდა დაივანებს სუფთა, მშვიდ და სათნო გულში. „მოიპოვე შინაგანი სიმშვიდე და ათასობით სული შენს გარშემო გადარჩება“, – ამბობდა წმ. სერაფიმ საროველი. სულიწმიდის შთაგონებით გაკეთებული მცირედი საქმეც კი უფრო ღირებულია, ვიდრე მრავალი ძალისხმევა სულიწმიდის გარეშე. ჩვენ ხშირად ვმოქმედებთ წინდაუხედავად და მოუფიქრებლად ყოველდღიურობის ჩარჩოებში, სულიწმიდა კი – მარადისობაში. სულიწმიდით შთაგონებული საქმე – ღმრთის საქმეა. სულიწმიდის გარეშე „რაღაცის“ კეთება, რასაც საფუძვლად ეგოიზმი და ფარული ამპარტავნება უდევს, – ფუჭია და მოჩვენებითი. ღმრთის საქმე ჩვენგან თავმდაბლობას მოითხოვს, უნდა დაემსგავსო „გამგონ“ და მორჩილ ინსტრუმენტს, მაგალითად, ჩასაბერ საკრავს, კლარნეტს, რომელიც ღმრთაებრივ მაესტროსაა მინდობილი, რათა გაჟღერდეს არა ჩვენი, არამედ ღმრთის მელოდია. ლუკას ეს კარგად ესმოდა: მთელი თავისი მისიონერული ცხოვრების მანძილზე, პავლესა და სხვა მოციქულების გვერდით ყოფნისას, ლუკა ხედავდა, რომ სულიწმიდის მოძღვრობას მინდობილნი იმარჯვებდნენ. სწორედ მაშინ, იესოს სიტყვები სულიწმიდის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი გახდა მისთვის. ლუკამ გააცნობიერა, თუ ვინ არის ეკლესიის მამოძრავებელი ძალა, ვინ არის ეკლესიის გული: სულიწმიდა ბადებს ჩვენში სიყვარულსა და რწმენას და არა ჩვენი სურვილები და გეგმები. სულიწმიდის გარეშე ნებისმიერი ქრისტიანი მხოლოდ და მხოლოდ... „ცოცხალი გვამია“. მარიამის, ზაქარიას, ელისაბედისა თუ სიმონის მსგავსად, ჭეშმარიტი ქრისტიანის გულში სწორედ სულიწმიდის მოქმედებით იბადება იესო. სულიწმიდას მინდობილ ქრისტიანთა წყალობით, ყოველი ქრისტიანის გულში ეკლესია იესო ქრისტეს დედად იქცევა, და იესო გვეუბნება: *„დედაჩემი და ჩემი ძმები ისინი არიან, ვინც ღვთის სიტყვას ისმენენ და ასრულებენ“* (ლუკ. 8, 21). მთელი გულით შევთხოვოთ და *„ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს“* (ლუკ. 11, 13).

(გაგრძელება იქნება)

ფრანგულიდან თარგმნეს
ალექსანდრა მარგველაშვილმა და
მანანა სულაძემ

თორმეტი შეკითხვა წმიდა მარიამის შესახებ

4. იყო თუ არა მარიამი სრულყოფილი?

წმიდა მარიამის სრულყოფილების ხარისხი უკავშირდება იმ საღმრთისმეტყველო ფაქტს, რომ იგი არის ღმრთისმშობელი, – ღმრთის დედა. მოძღვრება მარიამის უმანკო ჩასახვის შესახებ გვასწავლის, რომ იგი დაცული იყო პირველადი ცოდვისაგან მისი ჩასახვის პირველივე წამიდან წმიდა ანას მუცელში. ეს დაცულობა უკვე მისი სრულყოფილების ნიშანია. დავაკვირდეთ ვიტრაჟს: ფერადი შუშის მრავალი ნატეხი ერთიანდება დიდებული ნახატის შესაქმნელად. ხსნაც ვიტრაჟს მოგვაგონებს. არსებობს მოძღვრების სხვადასხვა ნაწილი, რომლებიც ერთიანდება ხსნის ისტორიის ჩამოსაყალიბებლად. მარიამი ღმრთის – ჩვენი ზეციური მამის – ქალიშვილია, იესოს დედაა და სული წმიდის სძალია. მასშია დაუნჯებული ხსნის გეგმა. შესაბამისად, ღმერთმა სრულყოფილება მიანიჭა მას, – იმგვარი, რაგვარიც არავის ჰქონია მას შემდეგ, რაც სამყარო შეიქმნა.

ის, რომ მარიამი დაცული იყო პირველადი ცოდვისაგან, ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა ცოდვის განცდის – და, კერძოდ, სიკვდილის – ტანჯვა.

ამავე დროს, მარიამის სრულყოფილება არ ნიშნავს მისი თავისუფალი ნების ხელყოფას. მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მარიამი თავისუფალი ნების საფუძველზე გამოავლენდა სიყვარულსა და მორჩილებას ღმრთის მიმართ. ხარებისას მთავარანგელოსმა გაბრიელმა მარიამს აუწყა ღმრთის განზრახვა, რომ იგი უნდა გამხდარიყო ღმრთის დედა. მარიამმა ჰკითხა მთავარანგელოზს: „როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?“ (ლუკა 1:34). მაშინ მთავარანგელოზმა მას უპასუხა, რომ იესოს ჩასახვა ღმრთაებრივი სასწაულის ძალმოსილებით მოხდებოდა; სხვა სიტყვებით, სული წმიდა ეწვეოდა და გაანაყოფიერებდა მას. მარიამმა უპასუხა სტუმარს: „მეყოს მე შენი სიტყვისამებრ“ (ლუკა 1:38).

ეს მარტივი პასუხი უძლიერესი დასტურია მარიამის სულიერი ცხოვრების სრულყოფილებისა. მართლაც, ღმერთმა მიანიჭა მარიამს განსაკუთრებული უპირატესობანი, მადლი და თვისებანი, რადგან იგი ღმრთის დედა უნდა გამხდარიყო. ამის მიუხედავად, მისი სიმდაბლე და მორჩილება მამა ღმრთის მიმართ აღმოჩნდა მისი რწმენის სასინჯი დასტური. მას შეეძლო უარის თქმა; მას შეეძლო გადაეწყვიტა, რომ არ მიიღებდა მონაწილეობას ღმრთის უზენაეს განზრახვაში; მას შეეძლო ემოქმედა საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. მაგრამ იგი ამგვარად არ მოქცეულა. მან შეურწყა საკუთარი ნება ღმრთის ნებას: „არა ისე, როგორც მე მსურს, არამედ ისე, როგორც შენ გსურს!“. მისი მორჩილი თავმდაბლობა არა მხოლოდ უმაღლესი ქალობისა და უმაღლესი დედობის გამოხატულებაა, არამედ, ამავე დროს, წარმოაჩენს ნიმუშს იმისა, თუ რას ნიშნავს, იყო იესოს მიმდევარი.

ევასა და ადამის დაუმორჩილებლობამ მიგვიყვანა ცოდვით დაცემამდე, ხოლო ახალი ევასა (მარიამი) და ახალი ადამის (იესო) მორჩილებამ მოგვანიჭა ხსნა და გათავისუფლება. მარიამის სრულყოფილება სამუდამო, სამარადისო ნიმუშია მისი ძის მორწმუნე მიმდევართათვის.

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

ტურინის სუდარა

შაბათს, 2013 წლის 30 მარტს, პასექის ცისკარზე, ტურინში დაცულ სუდარას, რაშიც, ტრადიციისამებრ, შეახვიეს იესო ჯვრიდან გარდამოხსნის შემდეგ, პლანეტის ყველა კუთხეში იხილავენ სატელევიზიო პროგრამის წყალობით, რომელსაც იტალიის ტელეკომპანია Rai-1-ის ტელეკამერა გადაიღებს და მთელ მსოფლიოში გადასცემს. სუდარა ადამიანური ტკივილის ამსახველი უზადო ხატია. სურვილი იმისა, რომ სწორედ აღდგომის ცისკარზე მომხდარიყო მისი ჩვენება, ბენედიქტე XVI-ის სიტყვებიდან მომდინარეობს: „წმიდა შაბათის ხატი“, ვინაიდან „წმიდა შაბათი ლოცვისა და მდუმარების დღეა, ასევე დღეა უფლის მკვდრეთით აღდგომის მოლოდინისა და მარადიული სიცოცხლის რწმენისა“. სუდარა კვლავაც ათრთოლებს ადამიანთა გულებს, კვლავაც აკვირვებს მათ და იწვევს ინტერესს. ამგვარი სატელევიზიო ჩვენება სუდარის ისტორიაში უპრეცენდენტო როდია. 1973 წლის 23 ნოემბერს, პირდაპირი ეთერით, პირველად იქნა ნაჩვენები სუდარის ფოტოსურათები (რომელიც მაშინ განლაგებული იყო ვერტიკალურად და არა ჰორიზონტალურად, როგორც წესი). მას შემდეგ ორმოცმა წელმა გაიარა, დიდი გარდატეხებითა და სიახლეებით სავსე წლებმა, მაგრამ სუდარაზე აღბეჭდილი ადამიანის ხატება (რომელსაც სხეულის ყველა ნაწილზე წამების კვალი ემჩნევა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიმშვიდეს ასხივებს და ნდობას იწვევს) ისევ აღელვებს მორწმუნეთა თუ ურწმუნოთა გულებს და მათში ისევ ბადებს მრავალ კითხვას.

მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიოეთიკაში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო და კათოლიკე ეკლესია საქართველოში – სამეცნიერო თანამშრომლობის ახალი ეტაპი

XX საუკუნის მიწურულს შექმნილმა სოციალურმა ვითარებამ, ურბანიზაციის ტემპებმა, მომხმარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებამ, სეკულარიზაციამ და გლობალიზაციამ წარმოქმნა აუცილებლობა, რომ ამ გამოწვევათა პასუხად ეკლესიას გადაედგა საპასუხო ნაბიჯები, ყოველივე ამ ფაქტორმა თავისდაუნებურად შეუმზადა ნიადაგი ბიოეთიკის ჩამოყალიბებას.

ბიოეთიკის ინტერესები ყველა იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის მოგვარებას ეხება, როგორიცაა აბორტი, უტილიზაცია, ევთანაზია თუ კლონირება.

უკვე გასული საუკუნის ბოლოს, საქართველოში ცალკეული ენთუზიასტების მიერ საფუძველი ეყრება ბიოეთიკის შესწავლას. 1990-2008 წლები შეიძლება ეროვნული ბიოეთიკის განვითარების პირველ ეტაპად მოვიაზროთ, როცა ბიოეთიკა მხოლოდ ეკლესიისა და პროფესიონალთა მცირე ჯგუფის ზრუნვის საგანს წარმოადგენდა.

2008 წლიდან მოიაზრება მეორე ეტაპი, როდესაც საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირის, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერით დაიწყო საერთაშორისო სიმპოზიუმების, შეხვედრების, სემინარების ორგანიზება, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტიც ჩაება. ფართო, ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო ქუთაისში შექმნილმა ინერ-საქართველოს ორგანიზაციამ. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, ბიოეთიკის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო კრებულებისა და სხვადასხვა პრაქტიკული ბუკლეტების გამოცემამ, სტუდენტურმა აქციებმა (რომლებიც აბორტის საწინააღმდეგო ხასიათს ატარებდა), გამოვყოფ საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას, როდესაც ნაჩვენები იყო ფილმი ევთანაზიაზე. მოეწყო ამ ფილმის საჯარო განხილვა, რამაც ხელი შეუწყო ბიოეთიკის პოპულარიზაციას. ბიოეთიკის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მამა პიერ დიუმულენის როლი, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ბიოეთიკით დაინტერესებულ ენთუზიასტებს.

მესამე ეტაპის დაწყება შეიძლება 2011 წლით დავათარიღოთ, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიის ერთობლივი ორგანიზებით საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების ტრადიციას, რამაც ბიძგი მისცა ბიოეთიკური კვლევებით საზოგადოების სულ უფრო მზარდ დაინტერესებას.

კათოლიკე ეკლესიისა და მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ინიციატივით, 2013 წლის 14 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიოეთიკაში. ამჯერად სიმპოზიუმის თემატიკა ევთანაზიით შემოიფარგლა.

სიმპოზიუმი გახსნა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, არქიმანდრიტმა ადამ ახალაძემ. მან, უპირველესად, მიულოცა დარბაზში მყოფ კათოლიკეებს რომის პაპის, ფრანცისკეს არჩევა და ახალ პაპს უსურვა ნაყოფიერი მსახურება. შემდგომ მოხსენებით გამოვიდა იტალიელი ბიოეთიკოსი, მილანის უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი ელენ კენდი, მისი მოხსენება ზოგადად ევთანაზიასა და მასთან დაკავშირებულ იმ მრავალრიცხოვან პრობლემას ეხებოდა, რომლებიც ფართო საზოგადოების სამართლიან შეშფოთებას იწვევენ.

შემდეგი მომხსენებელი გახლდათ არქიმანდრიტი ადამ ახალაძე, რომლის ვრცელი მოხსენების თემა, ქრისტიანული სწავლების შუქზე, ევთანაზიასა და სამედიცინო პრაქტიკას ეხებოდა.

სემინარის მეორე ნაწილში მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ევროინტეგრაციის ცენტრის პროფესორი ნუგზარ ბარდაველიძე, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ევთანაზიის განვითარების ეტაპზე ისაუბრა. შემდეგი მომხსენებელი, წმ. კამილოს ორდენის წევრი მ. აკაკი ჭელიძე ევთანაზიის ეთიკურ პრობლემებს შეეხო. კათოლიკური ეკლესიის დიაკვანმა ედუარდ გოგილაშვილმა თავის მოხსენებაში ევთანაზიის პრობლემები თანამედროვე ფსიქოლოგიური გააზრების საფუძველზე წარმოადგინა.

სიმპოზიუმის ბოლოს გაიმართა დისკუსია, მომხსენებლებს მრავალრიცხოვან კითხვებზე მოუწიათ პასუხის გაცემა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი აქტიურობით სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გამოირჩეოდნენ, რაც ნათლად მეტყველებს ბიოეთიკის, კერძოდ კი ევთანაზიის პრობლემატიკით ახალგაზრდობის მზარდ დაინტერესებაზე.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ვატიკანის ელჩი საქართველოში და სამხრეთ კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი; მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიების სასულიერო პირები; მრევლის წევრები; სამედიცინო სფეროს მუშაკები; სულხან-საბა ორბელიანისა და წმ. თამარ მეფის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები.

„საბას“ სპეციალური მიმომხილველი

საქართველოს სახალხო დამცველს
დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა კავშირი „სავარდი“

საქართველოში მცხოვრები კათოლიკე მრევლის წარმომადგენლები გამოხატავენ უკიდურეს აღშფოთებას ტელეკომპანია „კომედი არხის“ ეთერში, შაბათს, 19 იანვარს, 22 საათზე გასულ ანეკდოტთან დაკავშირებით, რომელიც უკიდურესად დამამცირებლად მოიხსენიებს კათოლიკე ეკლესიის უზენაეს პონტიფექსს, მის უწმინდესობას, პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტეს.

შესაბამისი წერილით მივმართეთ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექციას, რომლის მფლობელობაშიც არის „კომედი არხი“, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობისაგან არათუ არავითარი პასუხი არ მიგვიღია, არამედ ამჯერად „ვანოს შოუსა“ და „კომედი შოუს“ ეთერში გაიმეორეს მსგავსი უხამსი ანეკდოტები.

უმორჩილესად გთხოვთ, მოახდინოთ რეაგირება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

P.S. უცვლელად გთავაზობთ ტელეკომპანიისათვის გაგზავნილ წერილს.

დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა გაერთიანება „სავარდი“

პატივცემულო დირექცია,

კათოლიკე ეკლესიისთვის უცხო არ არის მხიარულება და სიცილი, თუმცა აღნიშნული ანეკდოტი თავისი შინაარსით სცილდება უწყინარი მხიარულების საზღვრებს და ზიანს აყენებს მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური სახელმწიფოს უზენაეს პრინციპებს.

საქართველოში მცხოვრები კათოლიკე მრევლის წარმომადგენლები გამოხატავენ უკიდურეს აღშფოთებას ტელეკომპანია „კომედი არხის“ ეთერში, შაბათს, 19 იანვარს, 22 საათზე გასულ ანეკდოტთან დაკავშირებით, რომელიც უკიდურესად დამამცირებლად მოიხსენიებს კათოლიკე ეკლესიის უზენაეს პონტიფექსს, მის უწმინდესობას, პაპ ბენედიქტე მეთექვსმეტეს.

მსგავსი შინაარსის ანეკდოტები, ისედაც ქსენოფობიურ გარემოში, აღრმავებენ სტერეოტიპებს კათოლიკე სასულიერო პირებისა და მისი მრევლის შესახებ, თითქოს ისინი „უპრინციპოები“ და „გარყვნილები“ არიან. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია, რომელსაც ყოველდღიურად აწყდებიან საქართველოს კათოლიკე მოქალაქეები, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მედიის მიერ გავრცელებული, სიძულვილით სავსე გამონათქვამებითა და სტერეოტიპებით. აღნიშნული პრობლემატიკის მიმართ უგრძნობლობა მედიის მხრიდან წარმოადგენს არა მხოლოდ ეთიკის უხეშად დარღვევას, არამედ საქართველოს კანონმდებლობის უგულებელყოფასაც.

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 56, ნაწილი მე-2 კრძალავს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას. „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომელიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის, ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის“, – ნათქვამია კანონში.

ქართველი კათოლიკეები ტელეკომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვენ, გაითვალისწინონ საქართველოს კათოლიკე აღმსარებლობის მოქალაქეთა თავისუფლება და უარი თქვან ეთერში დისკრიმინაციული შინაარსის მქონე გამონათქვამებზე. ჩვენ მოვითხოვთ, ტელეკომპანიამ, რომელმაც შეურაცხყო კათოლიკეთა რელიგიური გრძნობები, წერილობით, ან სხვა ფორმით ბოდიში მოიხადოს კათოლიკეთა რელიგიური გრძნობების ხელყოფისათვის.

ჯანსაღი კრიტიკა მისაღებია, მაგრამ რადგან ეს არხი ვერასდროს გაბედავს მსგავსი ანეკდოტის თქმას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის შესახებ, სჯობს, თავი შეიკავოს რელიგიური, უხამსი რიტორიკისგან.

პლანეტის მილიარდზე მეტი ადამიანი, ანუ ყოველი მეექვსე მოქალაქე შეურაცხყოფილი იქნებოდა მისი სულიერი ლიდერის ამგვარი მდარე შეურაცხყოფით.

დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა
გაერთიანება „სავარდი“
ნიუპორტის №12, ქუთაისი, 3800, საქართველო
23.01.2013

განუსვენე მათ, უფალო!

ჩხეიძე იანა
* 30.08.1969 – თბილისი
† 17.01.2013 – თბილისი

ბახვა გოგილაშვილი
* 10.02.1975 – ვალე
† 08.03.2013 – ვალე

სარძისი (ვასო) მანველიშვილი
* 10.07.1939 – ვალე
† 19.02.2013 – ვალე

ედვარდი ხითარიშვილი
* 03.01.1991 – ვალე
† 20.02.2013 – ვალე

სოფიო სარძისიანი
* 05.04.1930 – ახალქალაქი
† 07.10.2012 – ახალქალაქი

2013

27/04
ვიდეო ფესტივალი -
„მე მჯერა შენი“ -
ახალციხე

საფეხბურთო
ჩემპიონატი
- თბილისი

18/06

06/07

მიმლოცველობა
რაბათის მონასტერში

14-15/08

წეროვანი -
ვარსკვლავების ქვეშ

19/10
უსიკალური ფესტივალი - შეიგრძენი შენი
გულისცემა - ქუთაისი

© კათოლიკე ეკლესიის ახალგაზრდული საბჭო

სარჩევი

ეპისკოპოსის სააღდგომო
მიმართვა 2
რედაქციის გვერდი 4
კათოლიკე ეკლესია
მსოფლიოში 6
კათოლიკე მოძღვარი..... 10
კათოლიკე ეკლესია
საქართველოში 11
ლიტურგიული წელი წმ.
ლუკასთან ერთად 13
კათოლიკური პასუხი 15
ინფორმაცია 15
საგანგებო ჩანართი ..... I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2013

ჯანმხარდება

სემინარები სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში

პროგრამა აპრილის თვეში:

10 აპრილი: ვაჟა ვარდიძე – ნატურალური თეოლოგია, მისი საზრისი და საზღვარი;

17 აპრილი: ნუგზარ პაპუაშვილი – ეტალის ქართველი სტუდენტები სარწმუნოებისა და წესის შესახებ;

1 მაისი: მამუკა გელაშვილი – არქეტიპული სიმბოლოების ბუნება და მათი წარმოშობის მიზეზები.

დასაწყისი: 18:00 სთ.
მისამართი: გია აბესაძის ქ. №6

მივდივთ!!!

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენთა მიღებას 2013 –2014 სასწავლო წელზე. ახალ სასწავლო წელს უნივერსიტეტი ხვდება ახალი ინფრა-სტურუქტურით, ახალი პროგრამებითა და განახლებული სასწავლო გარემოთი.

აბიტურიენტთა მილება მიმდინარეობს შემდეგ საგანამანთლებლო პროგრამებზე

ჰუმანიტარული ფაკულტეტი:

- თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა – 1900 ლარი
- ინტერკულტურული კომუნიკაცია და თარგმანის საბაკალავრო პროგრამა – 1900 ლარი
- თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა – 1500 ლარი

სამართლის და ბიზნესის ფაკულტეტი:

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა – 2200 ლარი
- ბიზნეს ადმინისტრირების (მენეჯმენტის) საბაკალავრო პროგრამა – 2200 ლარი
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა – 2200 ლარი

უნივერსიტეტი გთავაზობთ: მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, ხარისხიან განათლებას, სწავლის საფასურის გადახდის სტუდენტზე მორგებულ სისტემას, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობას, სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სათანადო ლიტერატურით აღჭურვილ ბიბლიოთეკას, სასადილოს, ფიტნეს დარბაზს და კეთილმოწყობილ რეკრეაციულ ზონას. საუკეთესო სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია



უნივერსიტეტი მდებარეობს
ქალაქის ცენტრალურ უბანში,
კ. ქუთათელაძის ქუჩა №3
საბურთალო, მეტრო დელისის
მიმდებარე ტერიტორია

ვებ გვერდი: www.sabauni.edu.ge
ელ-ფოსტა: info@ sabauni.edu.ge
ტელეფონი: (+995 32) 2 989 516
(+995 32) 2 42 22 42

მებადურის ბეჭდის გადაცემა

მსოფლიო პატრიარქი ბართლომე

მიტროპოლიტი გერასიმე